იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გასვრა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 28 მაისი. 2020 წ. №67 (8993) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

არ არსებობს ინფიცირებული, ვინც სტაციონარული დახმარება ვერ მიიღო

მთავარი ამონარიდები პარლამენტში საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას გუშინდელი ანგარიშიდან

შეუძლებელია, ცალკე აღებულმა ქვეყანამ დაამარცხოს გლობალური ეპიდემია. ელემენტარულად, ციფრებზე რომ ვისაუბროთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს, 213 ქვეყანაში ინფიცირებულთა რაოდენობა არის 5 590 000-ზე მეტი და სამწუხაროდ, გარდაცვლილთა რაოდენობა 147 ათას ადამიანზე მეტია. საქართველოში გვყავს 735 ინფიცირებული, გამოჯანმრთელებულია 557, სამწუხაროდ გვყავს 12 გარდაცვლილი მოქალაქე და დღეს საქართველო 100 სულ მოსახლეზე გარდაცვალების მაჩვენებლით ევროპის 29 ქვეყანას შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონეა!

იხ. 2 გვ.

დემურ გიორხელიძე:

საქართველოსნაირ უსუსურ პროვინციაში, რაკი კონგრესმენი უცხოელია, ცით მოვლენილი ჰგონიათ

6

კოვ-იდიოტები

ვინ არიან ესენი?

რატომ არ სჯერათ ადამიანებს COVID-19-ის არსებობის და რით არის ეს საშიში?!

3

დონალდ ტრამპი:

ველი თქვენთან თანამშრომლობას ეკონომიკის დივერსიფიკაციაში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გამოუგზავნა.

აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის მეთაურისთვის გამოგზავნილ მილოცვაში ხაზს უსვამს ათწლეულების განმავლობაში აშშ-სა და საქართველოს შორის მტკიცე პარტნიორობას, რომელიც საერთო ღირებულებებს და ინტერესებს ეფუძნება.

„ძვირფასო პრემიერ-მინისტრო!

ამერიკელი ხალხის სახელით, გულწრფელად მოგესალმებით და გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს!

ათწლეულების განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს აკავშირებთ მტკიცე პარტნიორობა, რომელიც ეფუძნება საერთო ღირებულებებს და ინტერესებს. ამერიკის შეერთებული შტატები დიდად აფასებს და პატივისცემით ეპყრობა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ მიმართულ ძალისხმევას, მათ შორის მნიშვნელოვან წვლილს ნატოს მისიაში ავღანეთში, სადაც ქართველი მებრძოლები ამერიკული და ნატოს ძალების მხარდამხარ მსახურობენ. ჩვენ მტკიცე მხარდაჭერას ვუცხადებთ საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს ურყევ მხარდაჭერას ნატოსკენ მიმავალ გზაზე. ჩვენი პარტნიორობა გრძელდება, დღეს ჩვენ ვთანამშრომლობთ კორონავირუსის უპრეცედენტო გლობალურ პანდემიასთან ბრძოლაში.

ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით ქართველი ხალხის მისწრაფებების განსახორციელებლად. ველი თქვენთან თანამშრომლობას, რათა დავეხმაროთ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციასა და პოლიტიკური პლურალიზმის განმტკიცებაში, კანონის უზენაესობის გაძლიერებაში, რომლის საყრდენს წარმოადგენს დამოუკიდებელი სასამართლო, ასევე ეკონომიკის დივერსიფიკაციაში.

გულითადად ვულოცავ ქართველებს, ვუსურვებ კეთილდღეობას, ნაყოფიერ და უსაფრთხო მომავალს, — ნათქვამია დონალდ ტრამპის მილოცვაში.

მილოცვა ქართველ ერს!

ავაღორძინოთ სამშობლო!

ძვირფასო მკითხველო, ერის ერთ-ერთ შემოქმედ ბერიძეთა გვარს ტრადიცია გვაქვს, წელიწადში ორჯერ მივულოცოთ ქართველ ერს და მის სახელისუფლო შტოებს შობა-ახალი წელი და აღდგომა-ამაღლება. არც ამჯერად ვარღვევთ ტრადიციას!

მშობლიურო ქართველო ერო, ვარდობის თვეში ბერიძეებს გვაქვს უფლის წყალობა და გულითადი სურვილი, რათა მოგილოცოთ სამშობლოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი და უფლის ზეცად ამაღლების დღესასწაული – 28 მაისი. იყავ დღეგრძელი, გონიერი და შემოქმედი, ბრძენი და ავტორიტეტული, მსოფლიოს ცივილიზაციის აქტიური შემოქმედი. გამრავლდი და გაიხარე, ერო ძლიერო! მადლობა შენს გამჩენს, მაღალ ღმერთს, გამაქრისტიანებელ ნათლიას, ღვთისმშობელს და წმიდა მოციქულებს, ქრისტიანული მართლმადიდებლობა რომ გიბოძეს და სამართლიანი რწმენის შარაგზაზე დაგაყენეს!

– მარადიული ხსოვნა ერის წინაპრებს, იმპერიების შექმნა-გაქრობის ქარტეხილებში რომ გამოატარეს სამშობლო და დღემდე შეგვინარჩუნეს.

– ქებათა-ქება ერის მამულიშვილებს, მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურის მშენებლობაში ქართულ აგურს რომ ადუღაბებდნენ!

– მადლობა დღევანდელ მამულიშვილებს, საკუთარ მამულში რომ იღვწიან და, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ერის ერთგულ სულიერ შვილებად რჩებიან. დარწმუნებულნი ვართ, ერს რომ დასჭირდეს, ყველა მათგანი „საბაასო პარტიულ მანდატებს“ გადაყრის და საჭრეთელს აიღებს, მძლავრ ბალავარზე აღმშენებლობა რომ განაგრძონ.

უფალმა შეუნდოს სამშობლოდან წაბრძანებულ ემიგრანტებს, რომელთაგან 80% უკან აღარაა დამბრუნებელი! რადგან ქართველი ერი ძალზე სწრაფად ერწყმის სხვა ერს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. საბოლოოდ, „ნაშოვნის“ მიუხედავად მშობლიურის ნოსტალგია დაეუფლებათ და სიკვდილის წინ ერთ მუჭა მიწას მოინატრებენ...

მე არ ვიცი, საფრანგეთის ლევილში, ქართულ სასაფლაოზე ქართული სული ტრიალებს თუ არა, მაგრამ ღრმად მწამს, საქართველოში დაბადებულ ადამიანს უფალი მფარველ ანგელოსს რომ მიუვლენს, ის „მეორე მივლინებაში“ არ მიჰყვება მამულის მიმტოვებელს.

1993 წლიდან დღემდე საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ნახევარმა (დაახლოებით ორმა მილიონმა) საქართველო დატოვა (მარტო რუსეთის ფედერაციაში 1,1 მლნ ქართველი წავიდა), ეს ქვეყნისთვის კატასტროფაა!!! ღმერთმა შეუნდოს წამსვლელსაც და გამშვებსაც!!!

იხ. 5 გვ.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 ივნისს

არ არსებობს ინფიცირებული, ვინც სტაციონარული დახმარება ვერ მიიღო

დღეს არავინ არ იცის, ხვალ სამყარო და მსოფლიო როგორი იქნება როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე სოციალური ცხოვრების თვალსაზრისით და ჩვენთვისაც, რა თქმა უნდა, ეს იყო ყველაზე დიდი გამოწვევა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ პარლამენტში განაცხადა, სადაც Covid-19-ის პანდემიის პიროებებში, საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარადგინა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დღეს ჩვენს საზოგადოებაში არის ყველაზე მძაფრი შეგრძნება, რა იქნება ხვალ. მისივე განცხადებით, ამ გლობალური პანდემიის ყველაზე დიდი გამოწვევა არის ის, რომ მსოფლიოში არ არსებობს, არა თუ რაიმე გაანალიზებული, დასაბუთებული მკურნალობის სტრატეგია, არ არსებობს ვაქცინა, არ არსებობს ზუსტ ანალიზზე დაფუძნებული პროგნოზებიც.

„დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა სრულად ექვემდებარება კონტროლს. ოფიციალურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი შემთხვევები ძირითადად ფიქსირდება მთავრობის მიერ კონტროლირებადი მიმართულებებიდან. ეს გახლავთ საკარანტინო ზონები, ცნობილი კლასტერები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეპიდემიის გავრცელება და მისი სისწრაფე სრულად ექვემდებარება კონტროლს. სწორედ ამიტომ, დღეს მთავრობამ, ჩვენი მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე, პირველ რიგში მათი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე მიიღო გადაწყვეტილება შემსუბუქების შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად და ამ ნაბიჯების გადადგმის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ ის, რომ 29 მაისიდან ქვეყანაში ამოქმედდება ყველა სახის მუნიციპალური ტრანსპორტი, მათ შორის მეტროც. გარდა ამისა, ორშაბათიდან, პირველი ივნისიდან, სრულად ამოქმედდება ყველა სახის სავაჭრო ობიექტები, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

„ზუსტად 102 წლის წინათ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა პირველ ეროვნულ პარლამენტს. შესაბამისად, დღეს პარლამენტის ფუნქცია ქვეყანაში, მის განვითარებაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, საპარლამენტო კონტროლის ჩათვლით, არის უაღრესად მნიშვნელოვანი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ გვაკისრია, როგორც ჩვენი მოქალაქეების, ასევე პარლამენტის წინაშე. შეუძლებელი იყო, არ მოვსულიყავით და არ გაგვეცა პასუხები კითხვებზე. დღეს ყველაზე აქტუალური, რაც ჩვენს მოქალაქეებს აღელვებს, ეს არის გლობალური პანდემია. მზად ვართ, ვისაუბროთ ამ თემაზე, არანაირი დახურული თემები ჩვენთვის არ არსებობს. დღეს საზოგადოებაში არის ყველაზე მძაფრი შეგრძნება, რა იქნება ხვალ, გლობალური პანდემიის დიდი გამოწვევა არის ის, რომ მსოფლიოში არ არსებობს, არათუ რაიმე გაანალიზებული, დასაბუთებული მკურნალობის სტრატეგია, ვაქცინა ზუსტ ანალიზზე დაფუძნებული პროგნოზები. დღეს არავინ იცის, ხვალ როგორი იქნება მსოფლიო როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით, ჩვენთვისაც ეს იყო ყველაზე დიდი გამოწვევა. ჩვენი ძირითადი ამოცანა, როდესაც კრიზისის პირისპირ მოგვიწია გაურკვევლობის მაღალ დონეში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, გახდა აუცილებელი, გადაგვედგა ნაბიჯები, რომელიც ამ კრიზისს ჩვენი ქვეყნისთვის აქცევდა შესაძლებლობად. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა სრულად ექვემდებარება კონტროლს. ჩვენ დღეს ოფიციალურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი ქეისები ძირითადად ფიქსირდება მთავრობის მიერ კონტროლირებადი მიმართულებებიდან, ეს გახლავთ საკარანტინო ზონები, ცნობილი კლასტერები. შეიძლება ითქვას, რომ ეპიდემიის გავრცელება და მისი სისწრაფე სრულად ექვემდებარება კონტროლს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

* * *

პრემიერ-მინისტრმა განმარტა, რა პროგნოზს აკეთებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების შესახებ. მისი თქმით, დღეს ქვეყანაში არსებული სტატისტიკა ყველა პროგნოზზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. გაჩნდა 3 მოდელი, რომელზეც დაყრდნობით მთავრობა მოქმედებდა. ეს იყო პენსილვანიის უნივერსიტეტის მოდელი, რომელიც მიუთითებდა, რომ შიდა გავრცელებიდან 12-13 კვირის შემდეგ ქვეყანაში ინფიცირებულთა რაოდენობა იქნებოდა 5 950. შემდგომი გახლავთ ბაზელის უნივერსიტეტის მოდელი, რომელიც ამბობდა, რომ პირველი შიდა გავრცელების შემთხვევიდან 13-14 კვირაში ჰოსპიტალიზირებულების რაოდენობა იქნებოდა 5 100 და აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის მოდელი, რომელიც ამბობდა, რომ პირველი გავრცელებიდან 5-7 კვირის შემდგომ ქვეყანაში იქნებოდა დაახლოებით 3 000 შემთხვევა“,** — განაცხადა გახარიამ.

* * *

შეიძლება ყველამ არ იცის, მაგრამ საგანგებო მდგომარეობისას ქვეყანაში არ გაჩერებულა არც ერთი სოფლის მეურნეობის საწარმო. არ ვსაუბრობ სასურსათო მომარაგებაზე და ა.შ. არ გაჩერებულა არც ერთი სისტემური ინფრასტრუქტურული პროექტი, სისტემური ინდუსტრიალური კომპანია. **შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში, დაახლოებით, 65 ათასი კომპანია აგრძელებდა მუშაობას, რაც იყო ათობით ათასი სამუშაო ადგილი,** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საქართველოს პარლამენტში ანგარიშის წარდგენისას.

„ვერ დაასახელებთ ვერც ერთ შემთხვევას, რომ ეს საწარმოები ან სამუშაო ადგილები გამხდარიყო ინფექციის გავრცელების წყარო. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ამას ვაკეთებდით ეტაპობრივად, აბსოლუტურად პრაგმატულად. იყო რამდენიმე ინდუსტრული ქალაქი, რომელიც გადაკეტილი გვქონდა არა იმიტომ, რომ იქიდან ინფექცია არ გამოსულიყო, არამედ იმიტომ, რომ იქ ლოკალიზებული გვყავდა ადგილობრივი მუშახელი და იქ ინფექცია არ უნდა შესულიყო“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

* * *

საქართველო იყო პირველი ქვეყანა, სადაც აეროპორტებში თერმოსკრინინგი განხორციელდა და ეს გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ცხელება უფიქსირდებოდა, საკარანტინო ზონაში გადაგვეყვანა და მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მას კორონავირუსი, მათთვის შესაბამისი სერვისები გაგვეწია.

„ჩვენ მაშინვე დავინახეთ, რომ ეს ბრძოლა იქნებოდა ხანგრძლივი და ამ ხანგრძლივი ბრძოლის მზადების ფორმატში მივხვდით, რომ აუცილებელი იქნებოდა ორ ფრონტზე ბრძოლა. პირველ რიგში, ეს იქნებოდა მოქალაქის ჯანმრთელობა და მისი სიცოცხლე, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკა. ამიტომ მიაღწია მთავრობამ ამ შედეგს, რომ როდესაც პირველი ინფიცირებული არ იყო ქვეყანაში და ჩვენ უკვე საკოორდინაციო საბჭო შევქმენით“, — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

* * *

გიორგი გახარიამ ლუგარის ლაბორატორიის თანამშრომლებს პანდემიის დროს მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. **— ეს ხალხი 24 საათის განმავლობაში შრომობს. კიდევ მექნება შესაძლებლობა, მოვყვე, რას აკეთებს ეს ხალხი იმისთვის, რომ 1 ინფიცირებულის ასობით კავშირი გამოავლინონ, მერე ამ ადამიანებთან მივიდნენ, ამ ადამიანებთან იმუშაონ, ეს ადამიანები დაარწმუნონ, რომ საჭიროა მათი ტესტირება და კიდევ ბევრი რამ არიას გასაკეთებელი. არ შეგვეშალოს ის კიდევ, თუ რას ნიშნავს 75 ტესტიდან დღეში საშუალოდ 2500 ტესტის რაოდენობაზე ასვლა,** — განაცხადა გახარიამ.

* * *

პრევენციული ღონისძიებების გატარების ნაწილში ჩვენ გარკვეული, წინასწარ გადადგმული ნაბიჯების შემდგომ დავინახეთ, რომ ეს არ იქნებოდა საკმარისი და მოგვიწია უფრო მკაცრი ნაბიჯების გადადგმა, როგორიც იყო კონკრეტული მაღალი რისკის ქვეყნებიდან მოგზაურობების დახურვა.

„პირველ რიგში, ჩვენ შევაჩერეთ ფრენები ჩინეთიდან და ეს იყო 29 იანვარს. 24 თებერვალს შევაჩერეთ ფრენები ირანიდან, 6 მარტიდან იტალიიდან და შემდგომ უკვე მოგვიწია საზღვრის გადაკეტვა ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან. 21 თებერვალი იყო ის დღე, როდესაც ჩვენ ორგანიზებულად პირველად დავიწყეთ ჩვენი მოქალაქეების გამოყვანა საჰაერო გზით და პირველი ქვეყანა იყო ჩინეთი“, — განაცხადა საქართველოს პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ვირუსის გავრცელების გეოგრაფიაზე დაკვირვებით, თვალსაჩინო იყო, რომ ყველა იმ ქვეყანასთან, სადაც პანდემიური აფეთქება დაიწყო, საქართველოს ჰქონდა საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური და ლოგისტიკური კავშირები, რაც ამ ქვეყნებთან მიმოსვლის რეჟიმის გამკაცრების საფუძველი გახდა.

„როდესაც პანდემიასთან ბრძოლაზე ვსაუბრობთ და ვამბობთ, რომ გარკვეული ნაბიჯები პროაქტიურად გადავდგით, ამას ჰქონდა თავისი ახსნა. როდესაც პანდემიის გავრცელების გეოგრაფიას ვუყურებდით, ვხედავდით, რომ ყველა იმ ქვეყანასთან, სადაც პანდემიური აფეთქება იყო, ჩვენ გვქონდა საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური და ლოგისტიკური ტრაფიკი. პირველ რიგში, ეს იყო ჩინეთი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო იზრდება, შემდგომ ეს გახლავთ ირანი, სადაც მიმოსვლა იყო როგორც სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე აზერბაიჯანის გავლით საკმაოდ მაღალი ტრაფიკი გვქონდა, შემდგომ ეს იყო იტალია, სადაც ბევრი მოქალაქე როგორც მოგზაურობდა, ისე შრომობდა და აქაც სერიოზული ზეწოლა იქნებოდა. შემდგომ ეს იყო საფრანგეთი, ესპანეთი. ტრაფიკის თვალსაზრისით ყველა ის აქტიური ქვეყანა იყო მაღალი რისკის ქვეშ და სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილებები, ადრევე, რომ ამ ქვეყნებთან მიმოსვლის რეჟიმი გაგვემკაცრებინა“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

* * *

განათლების სამინისტრომ ეფექტურად შეძლო დისტანციური განათლების წესების დანერგვა, —განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„არ იყო ეს მარტივი და არ არის ეს იდეალური, მაგრამ ჩვენ თუ შევადარებთ მზაობის იმ დონეს, რომელიც იყო 4 მარტისთვის და რა გაკეთდა ერთ და ორ თვეში, ეს არის ის, რასაც მე ვეძახი — გამოვიყენოთ კრიზისი, როგორც შესაძლებლობა და განათლების სამინისტრო ამისთვის არის ძალიან კარგი მაგალითი, რადგან განათლების სისტემაში ათობით ათასი პედაგოგი დღეს თავის მოსწავლეებთან მუშაობს დისტანციურად“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა „ტელესკოლის“ პროექტს და აღნიშნა, რომ ამ პროექტმა ბავშვობა გაახსენა...

* * *

გიორგი გახარია: დღეს ქვეყანაში ოქროს სტანდარტით „პისიარ“ ტესტირება უტარდება დღეში 2500-მდე ადამიანს და უახლოეს მომავალში ამ ციფრის 3000-მდე გაზრდა იგეგმება.

„რაც შეეხება ტესტირების ნაწილს, ერთხელ და სამუდამოდ მინდა, ეს თემა დავხურო. სამწუხაროა, რომ ქვეყანაში, რომელიც პანდემიას ებრძვის, პატარა ქვეყანაში, რომლის რესურსებიც არის საკმაოდ შეზღუდული, ტესტირების თემა ხდება პოლიტიკური სპეკულირების თემა. ეს ახლა სხვა თემაა, ჩვენი პოლიტიკური კულტურის თემაა, ამას არ მინდა შევეხო. მსოფლიოში არსებობს ერთადერთი ოქროს სტანდარტი, ეს არის „პისიარ“ ტესტირება. დღეს ღმერთმა ისე ქნა, რომ ქვეყანაში არც თუ ისე ძლიერი, მაგრამ საკმაოდ მყარი, მაღალი პროფესიონალებით დაკომპლექტებული ლაბორატორიების ქსელი არსებობს, პირველ რიგში ეს გახლავთ ლუგარი. ეს გახლავთ ქუთაისისა და ბათუმის ლაბორატორიები, რომლებსაც შეუძლიათ „პისიარ“ ტესტირების ჩატარება უმაღლეს დონეზე. არ დაგვავიწყდეს, როდესაც ეპიდემიის პირველი შემთხვევები იყო საქართველოში, დღეში ტარდებოდა 72-75 „პისიარ“ ტესტირება. დღეს ტარდება 2500, უახლოეს პერიოდში ჩატარდება 3000. ჯანდაცვის სამინისტროში შესაბამის უწყებებს დავალება აქვთ მიღებული, რომ შემოდგომამდე, სექტემბრის ბოლომდე ქვეყანას შეეძლოს 10 000 „პისიარ“ ტესტის ჩატარება. ახლა ვისაც ეს ესმის, კარგად ხვდება, რაზე ვსაუბრობთ. ჩვენ ვართ ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც შეძლო ორგანიზებულად ათიათასობით თავისი მოქალაქის ჩამოყვანა სახელმწიფოს ხარჯზე უცხოეთის ქვეყნებიდან. ამას ჰქონდა თავისი საკარანტინო ინფრასტრუქტურა, ყველა ეს ადამიანი გადის ტესტირებას. ამიტომ ერთი რამე უნდა გვესმოდეს, როდესაც გახსნაზე ვსაუბრობთ, ზოგიერთები მოგვიწოდებენ, რომ გავხსნათ ყველაფერი ერთად.

იხ. 7 ბ.

ᲙᲝᲕ-ᲘᲓᲘᲝᲢᲔᲑᲘ

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲡᲔᲜᲘ?

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ COVID-19-ᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ?!

2020 ᲬᲔᲚᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲚᲔᲜ�გᲘᲡ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜ URBAN DICTIONARY-ᲨᲘ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ – ᲙᲝᲕᲘᲓᲘᲝᲢᲘ (COVIDIOT). ᲘᲒᲘ ᲫᲘᲠᲔᲣᲚᲘ COVID-19-ᲘᲡᲒᲐᲜ (ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲘᲠᲣᲡᲘ SARS-COV-2 ᲘᲬᲕᲔᲕᲡ) ᲓᲐ „ᲘᲓᲘᲝᲢᲘᲡᲒᲐᲜ“ (IDIOT) ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲙᲝᲕᲘᲓᲘᲝᲢᲔᲑᲐᲓ ᲝᲠᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲔᲜ:

- **მათ, ვინც იშენებს ბუნკერს და პირამდე ავსებს მას ტუალეტის ქაღალდითა და კონსერვებით, ამასთან, საერთოდ არ ადარდებს, დარჩება თუ არა მაღაზიაში პროდუქტი მეზობლებისთვის, – მთავარია, მათ ამ მარაგით 2134 წლამდე მიაღწიონ.**
- **მათ, ვინც კორონავირუსის არსებობას ან მის რეალურ საშიშროებას უარყოფს.**

დღეს ამ უკანასკნელებზე ვისაუბრებთ. მათ სხვაგვარად კორონავირუსულ დისიდენტებსაც უწოდებენ – აივ-დისიდენტების, ანუ იმ ადამიანების ანალოგიით, ვინც ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის არსებობას გამორიცხავს. მაგრამ კორონავირუსის შემთხვევაში შესაძლოა, შედეგები კიდევ უფრო მძიმე იყოს.

ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ ᲕᲘᲠᲣᲡᲖᲔ ᲙᲝᲕᲘᲓᲘᲝᲢᲔᲑᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ სხვა ნებისმიერი არაერთგვაროვანი ჯგუფის მსგავსად, კორონავირუსულ დისიდენტებს COVID-19-ის შესახებ ერთიანი პოზიცია არ გააჩნიათ. ჩამოვთვლით მათი მოსაზრებების მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტებს.

1. „კორონავირუსი მონაგონია, პანიკას კი ხელოვნურად ქმნიან: „ამ ჯგუფში შემავალ კოვიდიოტებს სწამთ, რომ ვირუსი არ არსებობს. ისინი მთელი რწმენით ყვებიან, ვის აწყობდა მსოფლიოში პანდემიის გამოცხადება. ამასთან, მათი „ჩვენებები“ შეიძლება, დღიდან დღემდე იცვლებოდეს. სანამ შეზღუდვები მხოლოდ ჩინეთში მოქმედებდა, ითვლებოდა, რომ კორონავირუსი მოწოდებული იყო, ამ ქვეყნის ეკონომიკა გაენადგურებინა და ჩინეთი მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლის ველიდან „გაეგდო“. მოგვიანებით საქმეში სხვა კონსპიროლოგიური თეორიები ჩაერთო:

- **ვირუსი ხელისუფლებებმა გამოიგონეს იმისთვის, რომ ადამიანები სახლებში გამოკეტონ და უკეთ აკონტროლონ;**
- **ფეიქი კორონავირუსის შესახებ ვაქცინების მწარმოებლებმა გაავრცელეს, რომელთაც ამ გზით გამდიდრება სურთ;**
- **მსოფლიო მთავრობამ გადაწყვიტა, შეექმნა პირობები ხალხის გასაღატაკებლად და ამ ფონზე ოლიგარქიის ასამაღლებლად;**
- **ყველაფერში ტრამპია დამნაშავე.**

ამგვარად, ვერსია ბევრია და მათ ერთი აქვთ საერთო: „კორონავირუსი არ არსებობს, ყველა მონაცემი მისი გადამდებობის შესახებ ფალსიფიცირებულია, მედიის წარმომადგენლები თაღლითები არიან, ხოლო ვინც მათ უჯერებს – ბეცები, რომლებიც შეშინდნენ და სახლებში გამოიკეტნენ“. როგორ „ეწერება“ ამ ვერსიებში ათასობით გარდაცვლილი – მთლად გასაგები არ არის, – ალბათ, იტყვიან, „უამრავი მსახიობი დაიქირავეს, რომლებმაც როლს კარგად გაართვეს თავიო“.

2. „კორონავირუსი არსებობს, მაგრამ ის არც იმდენად საშიშია“: „საკმაოდ გავრცელებულია COVID-19-ის შედარება გრიპთან: „ორივე გადამდებია, მსგავსი სიმპტომებით და გრიპის გართულებებისგანაც იღუპებიან. მაგრამ გრიპის სეზონური ეპიდემიები არავის აშინებს, ასე არ არის? მთელი ქვეყნების მოსახლეობას სახლში ჯდომას არავინ აიძულებს, ეკონომიკებს რისკის ქვეშ არავინ აყენებს... მაშასადამე, ახლა ხელოვნურად ქმნიან ქარიშხალს ჭიქა წყალში – ან სიბეცის გამო, ან იმიტომ, რომ ეს ვიღაცას რაღაცაში დასჭირდაო“.

რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ეშმაკობაა: მსგავსებების მიუხედავად, COVID-19 ჩვეულებრივ გრიპზე გაცილებით საშიშია და აი, რატომ:

- **ახასიათებს უფრო ხანგრძლივი საინკუბაციო პერიოდი – 14-დღიანი, მაშინ, როცა ჩვულებრივ გრიპს – მხოლოდ 4-დღიანი; ჯერ უსიმპტომო ადამიანი უკვე ინფიცირების წყაროს წარმოადგენს გარეშემომყოფთათვის და 14 დღის განმავლობაში ვირუსი შეიძლება, გაცილებით მეტ ადამიანს გადასცეს. ამჟამად ეს თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით 1,3 ადამიანს – ჩვეულებრივი გრიპის და 2-2,5 ადამიანს – კორონავირუსის შემთხვევაში.**
- **ჰოსპიტალიზების აუცილებლობა: ჩვეულებრივი გრიპის დროს კლინიკებში ინფიცირებულთა დაახლოებით 2% ხვდება, კორონავირუსის შემთხვევაში - 19-20%.**
- **ლეტალურობა: ჩვეულებრივი გრიპის დროს იგი 0,1%-ზე დაბალია, კორონავირუსის შემთხვევაში კი დაახლოებით 3,4%-ს აღწევს.**
- **ვაქცინაცია: კორონავირუსის ვაქცინა ამ დრომდე არ არსებობს, მაშინ, როცა ჩვეულებრივი გრიპის შტამებისგან დაცვა უკვე დიდი ხანია, შესაძლებელია.**
- **კოლექტიური იმუნიტეტი: ადამიანის ორგანიზმები ახალ კორონავირუსს ჯერ არ იცნობენ, ამდენად მასზე სწორი დაცვით ყოველთვის როდი რეაგირებენ.**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გრიპის ყველა სახეობით წელიწადში საშუალოდ 3,5-5 მილიონი ადამიანი ავადდება. COVID-19-ით უკვე დაინფიცირდა 5 მილიონზე მეტი. არადა, მსოფლიოში ფართოდ გავრცელება ვირუსმა მხოლოდ თებერვალში დაიწყო.

თუმცა, დისიდენტები მხოლოდ გრიპით არ შემოიფარგლებიან. ისინი კორონავირუსს გადამდებობის მაღალი დონის მქონე სხვა დაავადებებსაც ადარებენ, მაგალითად წითელას. მართლაც, წითელასგან დღემდე ბევრი ადამიანი იღუპება: 2017 წელს მან 110 ათასი ადამიანის, უმთავრესად ბავშვების სიცოცხლე იმსხვერპლა. მაგრამ ამ დაავადების გავრცელება ადვილად ბლოკირებადია ვაქცინაციით. ეპიდემიები ხდებოდა იქ, სადაც აცრები არ ტარდებოდა. და აქ დროული იქნება, მოკითხვა შევუთვალოთ იმ დისიდენტებს, რომლებიც ვაქცინაციას ეწინააღმდეგებიან.

3. „ალტერნატიული მედიცინა კორონავირუსისგან საიმედოდ დაგიცავთ“: „დისიდენტების ამ ნაწილის აზრით, ვირუსი არსებობს, მაგრამ ექიმების რჩევების გათვალისწინება არ ღირს: „რა ესმით მათ? მით უფრო, რომ არსებობს ალტერნატიული მედიცინა – ყველაზე სწორი სადღეისოდ არსებულებს შორის. თქვენ ნამდვილად არ დაავადდებით, თუ რეგულარულად მიიღებთ საკვებად ნიორს, სხვადასხვა ნაყენებს, ლიმონს და ა.შ. გააკეთეთ ეს და უშიშრად იარეთ ქუჩებში – თქვენ საიმედოდ ხართ დაცულებიო“.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რაშია აქ შეცდომა. კომიკოსმა ტიმ მინჩინმა ეს ასე ახსნა: „ალტერნატიული მედიცინა – ეს ის მედიცინაა, რომლის ეფექტურობაც ან არ არის დადასტურებული, ან დადასტურებულია მისი არაეფექტურობა. იცით, რა ჰქვია მედიცინას, რომლის ეფექტურობა დადასტურებულია? – უბრალოდ მედიცინა“.

4. „COVID-19-ით დაავადებულები კორონავირუსის გამო არ კვდებიან“: „მართლაც, გარდაცვლილთა უმრავლესობას თანმდევი დაავადებები ჰქონდა: ვიღაცას – დიაბეტი, ვიღაცას – ასთმა, ზოგს ორგანოები აკლდა... ისინი და მათთან ერთად ხანდაზმულები რისკ-ჯგუფში სწორედ იმიტომ შედიან, რომ ორგანიზმი უკვე დასუსტებულია და უფრო ცუდად უმკლავდება დამატებით ინფექციას.

ის, რომ „კორონავირუსი აქ არაფერ შუაშია“ – წმინდა წყლის სპეკულაციაა: იგივე ლოგიკით იმის თქმაც შეიძლება, რომ „სიმაღლიდან ვარდნის გამო არ კვდებიან“ – უშუალოდ სიკვდილს ხომ არა ვარდნა, არამედ ორგანოების მსხვრევა, მრავლობითი მოტეხილობები, ტკივილით გამოწვეული შოკი იწვევს; ცეცხლსასროლი იარაღი კი, ამ ლოგიკით, საერთოდ „უსაფრთხო“ ყოფილა – სიკვდილს იწვევს არა იარაღი, არამედ სისხლდენა და დაზიანებები...

5. „ვირუსისგან დაცვას აზრი არ აქვს – მაინც დაავადდებით“: ამაზე არც არავინ დავობს. ადრე თუ გვიან, თქვენ, მაღალი ალბათობით, მართლაც დაავადდებით. შემზღუდავი ზომები კი მიიღება იმისთვის, რომ ეს რაც შეიძლება, გვიან მოხდეს და არა ადრე. და აი, რატომ:

- **ვირუსი ახალია, ამიტომაც ექიმები ბოლომდე არ არიან დარწმუნებულები, როგორ ებრძოლონ ეფექტურად იმ გართულებებს, რომლებსაც ის იწვევს. მკურნალობის პროტოკოლები რეგულარულად ახლდება. მედიკოსები ეძებენ პრეპარატების იმ ერთობლიობას, რომელიც ლეტალობას შეამცირებს. შესაბამისად, რაც უფრო გვიან დაავადდებით, მით მეტი იქნება თქვენი ეფექტიანი მკურნალობის შანსი.**
- **კლინიკების, ხელოვნური სუნთქვის აპარატებისა და ექიმების რაოდენობა ულევი არ არის. შესაბამისად, რაც ნაკლები ადამიანი საჭიროებს მათ ერთდროულად, მით უკეთესია.**
- **მთელს მსოფლიოში მეცნიერები ვაქცინაზე მუშაობენ. თუ გაგიმართლებთ, მის გამოგონებამდე არ დაავადდებით.**

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ

აქ ერთდროულად რამდენიმე მიზეზია:

1. გარდაუვალის მიღების სტადია, როგორც წესი, ადამიანი სერიოზული განსაცდელის დროს 5 სტადიას გაივლის: უარყოფა, აგრესია, ვაჭრობა, დეპრესია და მიღება. ასე ეგუება ფსიქიკა ახალ ვითარებას. პანდემია თავისუფლად შეიძლება, ჩაითვალოს სერიოზულ განსაცდელად და უარყოფა ამ შემთხვევაში მძლავრი დაცვითი მექანიზმია: „კორონავირუსი არ არსებობს – მაშასადამე, მალე ყველაფერი ისევ ნორმაში ჩადგება“.

2. მოქმედების გადადების მცდელობაა: თუ პრობლემის არსებობას ვაღიარებთ, ამას მოჰყვება სხვადასხვა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების აუცილებლობა. მაგალითად, ცხადი გახდება, რომ ეკონომიკა საფრთხეშია, მაშასადამე, საჭიროა ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ალტერნატივების მოძიება სამუშაოს დაკარგვის შემთხვევისთვის. ეს ყველაფერი უსიამოვნოა და მტკივნეული. გაცილებით ადვილია, თავი მოვიკატუნოთ, თითქოს არაფერი ხდებოდეს.

3. პანდემიის ფონზე ხელისუფლებების რეიტინგები მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ბევრი უნდობლობით ეკიდება იმას, რაც ოფიციალური სახელისუფლებო წყაროებისგან ესმის. რუსეთის შემთხვევაში, მაგალითად, ეს განსაკუთრებით ეხება სტატუსით გაუგებარ თვითიზოლაციას კარანტინის ნაცვლად და მოქალაქეთა გადაადგილების კონტროლს საგანგებო მდგომარეობის არარსებობის პირობებში.

4. სხვების ფონზე „გაჯგიმვის“ მცდელობა: სანამ მთელი მსოფლიო ჭკუიდან გადადის, დისიდენტი თავს რჩეულად გრძნობს: ის ხომ „საიდუმლოს შეეხო“ და „ჭეშმარიტება გამოიცნო“, ახლა კი ისღა რჩება, დაელოდოს, როდის „აეხილებათ თვალი“ დანარჩენებს და აღიარებენ მის „სიდიადეს“.

ᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ

ᲠᲘᲡᲘᲪ არ უნდა სწამდეს კონკრეტულ კოვიდიოტს, მნიშვნელოვანია ერთი რამ: იგი არ იცავს რეკომენდაციებსა და შეზღუდვებს, რომლებმაც ვირუსის გავრცელება უნდა შეაკავოს. რაც მეტია ასეთი ადამიანი, მით მეტი იქნება ინფიცირებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰოსპიტალიზებას ინფიცირებულთა საშუალოდ 20% საჭიროებს, მაგრამ 1000 ადამიანის 20% და 100 000 ადამიანის 20% – ეს სულ სხვადასხვა ციფრებია. შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება იმის რისკი, რომ ვიღაცას სუნთქვის ხელოვნური მართვის აპარატი არ ეყოს, ვიღაცასთან კი კრიტიკულ მომენტში ექიმიც ვერ მივიდეს.

თხოვნებისა და მოთხოვნების იგნორირებას იქამდე მივყავართ, რომ ხელისუფლებები შეზღუდვებსა და კონტროლს ამკაცრებენ.

კიდევ უარესია, როცა დისიდენტობა თავად ხელისუფლებაში აღწევს. ამის არაერთი მაგალითი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უკვე გვაქვს. მაგალითად, ბრაზილია სწორედ ახლა ქვეყნის პრეზიდენტ ჟაირ ბოლსონარუს კორონა-დისიდენტობის უმძიმეს შედეგებს იმკის.

აქ უნდა გავიხსენოთ, რით დაიწყო ყველაფერი – აივ-დისიდენტებით. ისინი იგივე სქემით მოქმედებენ და შედეგები უკვე ჩანს, მაგალითად, რუსეთში. პრობლემაზე რომ თვალი დავხუჭოთ, ეს ლეტალური შედეგით დასრულდება. ტიუმენში შესაბამისი თერაპიის არჩატარების გამო 2 წლის ბავშვი გარდაიცვალა – მშობლებს აივ-ინფექციის არსებობის არ სჯეროდათ. პეტერბურგში ანალოგიურ გარემოებებში 4 წლის ბავშვი დაიღუპა. ეს შემთხვევები იმის გამო გახმაურდა, რომ ბავშვების მშობლები ორივე შემთხვევაში სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. თავად აივ-დისიდენტებისა და მათ მიერ „ინფიცირებული“ მოქალაქეების სტატისტიკა კი, სამწუხაროდ, არ არსებობს.

SARS-CoV-2-ის შედარება შიდსთან არაკორექტულია: მეტისმეტად განსხვავებულია ეს ვირუსები. აი, აივ-დისიდენტების შედარება კოვიდიოტებთან – ძალიანაც კორექტული: ერთნიც და მეორენიც ექსპერიმენტებს ატარებენ გარშემომყოფ ადამიანებზე და ამ ექსპერიმენტების შედეგები შესაძლოა, სავალალო აღმოჩნდეს.

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“

◎ არაფერია მზის ქვეშ ახალი

რობერტ სტურუა: „ქართველები და კოვიდ-19“!

ბუენოს-აირესში სპექტაკლს ვდგამდი. მსახიობებმა მითხრეს, ცნობილი არგენტინელი მულტიმილიონერი გარდაიცვალაო (აი, თუნდაც სააკას და მისი მეგობრების მსგავსი ვინმე!)და მთავარ ტაძარში მივდივართ გასვენებაშიო!

ვიცით, სიმდიდრე საეჭვო გზით მოიპოვაო და იმიტომ არ დაიჭირესო, რომ დიდი ფული მიაშავაო, ვისაც საჭირო!ა! (მოგეხსენებათ, იქვე კოლუმბიაა, ბრაზილია, ეკვადორი, მოკლედ ლათინური ამერიკა (ჩვენზეც ალბათ უკვე ასე ლაპარაკობენ!)...

გაკვირვებულმა ვკითხე:

— რატომ მიდიხართ? რა, ქველმოქმედი და მეცენატი იყო?

— არა, ერთ პესოს ვერ გააგდებინებდიო!

— მაშინ რა გინდათ ასეთი კაცის დასაფლავებაზე?

— იქ ბუენოს-აირესის პატრიარქი ხორხე მარიო ბერგოლიო აღავლენს წირვას! სხვათაშორის, ამბობენ შესაძლოა მომავალი რომის პაპი გახდეს! და გვაინტერესებს რას იტყვისო!

მეც ამიყოლიეს და წავყევი...

და არ შევმცდარვარ!

საკათედრო საყდარში ტევა არ იყო...

ძალიან სიმპათიური კაცი აღმოჩნდა ბუენოს-აიერისის მთავარი არქიეპისკოპოსი, ან კარდინალი (ზუსტად არ ვიცი კათოლიკური ეკლესიის იერარქია).

მან აი, რა ბრძანა (მოკლედ მოგახსენებთ):

— „ტოვებს სამყაროს ადამიანი, ცოდვილი კაცი და მალე იქ წარსდგება. მთელი ცხოვრება სიმდიდრეს ეტრფოდა, ოქრო და ვერცხლის პატრონი გახდა, ვინ მოთვლის რამდენი დააგროვა! ახლა კი წევს საბრალო, არც ისე ძვირ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი! და ვეკითხები: ოი, ცოდვილო შვილო, რა მიგაქვს თან, რასაც სისხლის ფასად აგროვებდი მთელი ცხოვრება? ა რ ა ფ ე რ ი!“

და დააყოლა:

„მიწა იყავ და მიწად იქეც!“

ახლა ეს სათნო მღვდელთმთავარი რომის პაპია: მონაზონი პაპი ფრანცისკე!

ახლა სათაურის გამო!

როცა მსოფლიოს და საქართველოს თავზე შავფრთებიანი დასასრულის მაცნე დაფრინავს, ვიფიქრე, ქართველები მოეშვებიან ამ უაზრო ამაოებას — სასახლეების და ბინების გაუთავებელ ძებნას, ფულების დაძაბულ თვლას, დაუფიქრებელ და გაუთავებელ თავიანთი პარტიების კივილით განდიდებას, ერთმანეთის სასირცხვო გინებას, ჭორების ვნებიან ფრქვევას!

მეგონა, მოიშორებდნენ ამ სავარძლების გამო ერთმანეთის ხოცვას!

თურმე ნუ იტყვი, არაფერი არ შეიცვალა, არაფრის ეშინიათ, სინდისი დააბეტონეს!

დაბოლოს, ვიცი არც გესმით და არც გინდათ გაიგოთ!

„ამაოება ამაოებათა, თქვა ეკლესიასტემ, ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა...

...რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება;

არაფერია მზის ქვეშ ახალი...“ — წერს ფეისბუქზე რობერტ სტურუა.

◎ ძალიან გაბრაზებული პუბლიცისტის ჩანაწერები

დავეხმაროთ გიორგი გახარიას და თავიც გადავირჩინოთ!!!

კიდევ ერთხელ წავიკითხე, **რომ საქართველოს მთავრობის 23 მაისის დადგენილებით, საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია საჰაერო, სარკინიგზო, საქალაქთაშორისო, საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (მათ შორის, მეტროპოლიტენის) ფუნქციონირება.**

რას ნიშნავს ახლა ეს და რა რეაქცია უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში საზოგადოებას, რომელსაც მინიმალური პრეტენზია მაინც აქვს ადამიანური სახის შენარჩუნებაზე, რომ არაფერი ვთქვათ, აქედან გამომდინარე უმძიმეს პერსპექტივაზე, რომელიც წინამდებარე დადგენილების უსიტყვო მორჩილებას მოჰყვება აუცილებლად?!

ასე უცერემონიოდ, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე მხოლოდ ცხვრის ფარას მოექცევიან, რომელსაც საითაც უნდათ, იქითკენ გარეკავენ, საჭიროების შემთხვევაში კი უფსკრულის პირამდეც მიიყვანენ და ხელსაც შეაშველებენ, რომ გადაიჩეხოს!

დიდი მადლობა პატივცემულ მთავრობას, საგანგებო რეჟიმი და კომენდანტის საათი (ამის აუცილებლობაში დღესაც არა ვარ გარკვეული) რომ მოგვიხსნა, მაგრამ იმ უაზრო, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული შეზღუდვების ძალაში დატოვების შემდეგ, 23 მაისის „სიურპრიზი“ არა მარტო გამაოგნებელი, არამედ ბოლომდე დამამცირებელია!

თუ მავანი და მავანი ამ დრაკონულ გადაწყვეტილებას ვიღაც-ვიღაცების ბიზნესის (რა თქმა უნდა, ხელისუფლებასთან ასოცირებული) ლობირებით ხსნის, მე პირადად მიმაჩნია, რომ ეს არის ხალხის დათრგუნვის, მისი საბოლოო დამონებისკენ მიმართული ნაბიჯი — „ხალხი ყველაფერს ეჩვევა“ ფორმულის გამოყენებით!

ჯერ ერთი, მთავრობამ უნდა განმარტოს, რით არის განპირობებული ამ სასიცოცხლოდ დამანგრეველი გადაწყვეტილების მიღება. მეორეც, რით აპირებს იგი (მთავრობა) აანაზღაუროს სახელმწიფოს, მისი მოსახლეობის სრული პარალიზებით გამოწვეული დანაკარგები?!

ჯერ ერთი, ყველას არა ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა, ხოლო, ვისაც ჰყავს, მალე ბევრს არ ექნება საწვავით უზრუნველყოფის საშუალება, რომ არაფერი ვთქვათ ტაქსით ყოველდღიურად მგზავრობაზე სამსახურებრივი და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით!

სამწუხაროდ, საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ავგიას თავლად ქცეულმა საქართველოს პარლამენტმა, ისეთი რეგულაციები დაამტკიცა, რომელიც არა მარტო ზღუდავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, არამედ, საბოლოოდ ანადგურებს მას!!!

მაგალითისთვის, საგანგებო წესების დარღვევისთვის დაწესებული, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული ჯარიმები და საგანგებო მდგომარეობის ხელმეორედ დარღვევისთვის 6-წლიანი პატიმრობის განსაზღვრაც კმარა...

საგანგაშოა პარლამენტის მხრიდან მთავრობისთვის უფლებების დელეგირება, რომელიც ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევს, თვითონვე განსაზღვროს ნებისმიერი სახის შეზღუდვები და დააწესოს ანტიკონსტიტუციური რეგულაციები.

ამით საქართველოს პარლამენტმა არა მარტო თვითლიკვიდაცია გამოაცხადა, არამედ დაბეჯითებით მიგვანიშნა, რომ სახელმწიფო ინსტიტუციები მთლიანად კასტრირებულია და ყველაფერი იმ მომაკვდინებელ დირექტივებს ექვემდებარება, რომლითაც ცდილობენ კაცობრიობის გაგუდვას!

მე არ ვამბობ, რომ გიორგი გახარია საქართველოს მტერია,

მე არ ვამტკიცებ, რომ იგი ანტიხალხურ გადაწყვეტილებებს ხალისით აწერს ხელს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ იგი მსოფლიო შეთქმულების მძევალია და აიძულებენ, გახდეს ამ ანტიკაცობრიული შეთქმულების მონაწილე!

დღეს ყველაზე უმძიმეს სიტუაციაში სწორედ გახარია იმყოფება — დიახ, მას აიძულებენ ჩაერთოს ბინძურ თამაშში, მაგრამ რას ვაკეთებთ ჩვენ, ქართველი ხალხი, რომ ერთობლივი, თანმიმდევრული პროტესტით ოდნავ მაინც შევამსუბუქოთ მძიმე პერსპექტივა?!

ციხეებში ჩაყრის თუ შიმშილით სულის ამოხდის გვეშინია?!

თუ ასე გაგრძელდა, ისედაც და ასედაც, დავიხოცებით — რა მნიშვნელობა აქვს მორჩილებით და ჩიპიზაციით გავახანგრძლივებთ სიცოცხლეს და უსულო მასად ვიქცევით, თუ ეშმაკს იოლად არ დავნებდებით და უფალთან მისასვლელ გზას გავიიოლებთ? ერთ დროს ხომ მაინც მოგვიწევს იმ მარადიულ სამყაროში გადასახლება?!

ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა

აქვს, კორონას შიშით წავალთ თვითხარაკირზე, თუ სამართლიანი პროტესტით აღვასრულებთ ადამიანურ ვალს უფლის წინაშე და ეშმაკს არ დავნებდებით?!

კორონა არა, ტოროლა!!!

ზაურ ნაჭყებია

ხვალიდან თბილისს საზოგადოებრივი ტრანსპორტი უბრუნდება

დედაქალაქის **მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.**

აღინიშნა, რომ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციით, 29 მაისიდან თბილისის მასშტაბით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა აღდგება, თუმცა მგზავრობის დროს სავალდებულო იქნება პირბადეების გამოყენება.

თბილისის მერის განცხადებით, კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში, მთელი რიგი სერვისები შეიზღუდა, მათ შორის, შეჩერდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა.

„ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მაქსიმალურად დაგვეცვა ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობა. ყველა ის ნაბიჯი, რომელიც ჩვენს მიერ გადაიდგა, იყო ძალიან მნიშვნელოვანი ამ რთულ ვითარებაში. შედეგიც სახეზეა, ყველანი კარგად ვხედავთ, რა მდგომარეობა იყო ბევრ ევროპულ განვითარებულ ქვეყანაში და როგორ გაუმკლავდა ამ პანდემიას საქართველოს ხელისუფლება. რა თქმა უნდა, ბრძოლა ბოლომდე არ მიგვიყვანია, თვითკმაყოფილებას არ უნდა მივეცეთ. მიუხედავად იმისა, რომ ეტაპობრივად დაიწყო მთელი რიგი მიმართულებების გახსნა, მაქსიმალურად ყურადღება უნდა შევინარჩუნოთ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და დავიცვათ ყველა ის რეკომენდაცია, რაც საჭირო. **დღეს საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე იყო მსჯელობა და გადაწყდა, რომ 29 მაისიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტი — მეტრო, მუნიციპალური ავტობუსები და მიკროავტობუსები, მუშაობას დაიწყებს“,** — აღნიშნა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, პირბადის ტარება სავალდებულო გახდება და ამის კონტროლს დედაქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურები განახორციელებენ.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის განახლების გარდა, პირველი ივნისიდან მუშაობას ეტაპობრივად განაახლებს დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის სერვისები, მათ შორის, გაიხსნება მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები.

პირველი ივნისიდან ასევე, აღდგება თბილისის მერიაში შემოსული ადმინისტრაციული ერთეულების საჩივრების განმხილველი კომისიის სხდომები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების/ყოფნის ფაქტის დამდგენი კომისიის სხდომები; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსები; კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ისტორიული საბჭოს სხდომები; კულტურული ღირსშესანიშნაობების დაფინანსების კომისიის სხდომები; თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სხდომები; დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომები. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობისა და სერვისების განახლების გადაწყვეტილება უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გუშინდელ სხდომაზე მიიღეს.

აპაღორძინოთ სამშობლო!

(პირველი გვერდიდან)

გვსურს მადლობა ვუთხრათ და ქებით შევამკოთ დღევანდელი ახალგაზრდობა. იციან, რომ ქვეყნის ბედი მათ ხელთაა! დღევანდელი ელექტრონული კომუნიკაციის პირობებში მათ აღარ სჭირდებათ კემბრიჯისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში სასწავლებლად წასვლა. არც უცხო ენების შესწავლაა პრობლემა. თუმცა ყველას ვურჩევ, შინაც და გარეთაც ღმერთის ენაზე – ქართულად ილაპარაკონ და მეორედ მოსვლის ჟამის განმკითხავი ქართული ენა გააცნონ მსოფლიოს. ქართული მეტყველება ხომ ბგერათა სასიამოვნო ჰარმონიული ჟღერადობა და უფლის საგალობელია! სულმნათი იოანე ზოსიმე წერდა: „და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოცედ-დაათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან დღესამომდე“. მისი რწმენით, „ღმერთმან „ამხილოს ამ ენითა“ მეორედ მოსვლის ჟამი. ქართულ ენას ეტრფოდნენ ბრიტანელი მარჯორი და ოლივერ უორდროპები, ფრანგი ალექსანდრე დიუმა, რუსი ალექსანდრე პუშკინი და მიხეილ ლერმონტოვი, ნობელის პრემიის ლაურეატი ბორის პასტერნაკი და სხვა უამრავი. მოსკოვიდან იძულებით გადმოსახლებულმა ბორის პასტერნაკმა, თბილისიდან წასვლისას მატარებლიდან ქართველებს თვალცრემლიანმა მოაძახა: მივდივარ, მაგრამ მე თქვენში დავრჩი! იგი მართლაც სულიერად თბილისში, ტიციან ტაბიძის სახლში დარჩა, ძვალ-ხორციელად კი მალე აღესრულა მოსკოვში.

ბერიძეებს სამარცხვინოდ მიგვაჩნია, ჩვენი ერის შვილი დამახინჯებული სხვა ენით რომ ცდილობს თავის გამოჩენას! ქართველმა ყველგან და ყოველთვის ქართულ ენაზე უნდა იმეტყველოს და პატივი მიაგოს მშობლიურ უნიკალურ ენას.

გვსურს, ქართველმა ახალგაზრდობამ იცოდეს, რომ სწორედ ქართულ ენაზე დაიწერა ყველაზე მეტი უფლის საგალობელი, ფსალმუნი, კონდაკი, ლოცვა. ამ ენით ილოცა და შეიყვარა უფალი იესო ქრისტე და წმიდა სამება ყველაზე მეტად მსოფლიოში ქართველმა ერმა მიიღო მისი მადლი. ამიტომაა ქართველი ერი დაუმარცხებელი! განადგურდა კართაგენი, რომის იმპერია, ბაბილონი, ბიზანტია და სხვა მრავალი, საქართველო კი მხნე მუხად დგას და ახალ-ახალი ტოტებით იმოსება. ჩვენი მფარველი უფალი იესო ქრისტე მცხეთაშია, გვხედავს და გვწყალობს! თითოეულმა ჩვენგანმა იგი უნახავად უნდა „დავინახოთ“!

იერუსალიმში უფალი ცეცხლის გადმოსვლით ახსენებს თავს მსოფლიოს, მცხეთაში კი მისი მადლი გადმოდის და მისით იმოსება ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი! ცეცხლი გამაფრთხილებელია, მადლი კი – სიყვარული! უფლის წყალობაა, რომ ქართველებს სიყვარული და სათნოება (თმენა) ვახტანგ გორგასალმა გვინიმუშა; ქვეყნის სიყვარული და აღმშენებლობა – დიდმა დავითმა; მშვენიერება, ქველმოქმედება და დემოკრატია – თამარმა; რწმენის სიმბოლო სამყაროში უდრეკი ქეთევანია; გონიერებისა და დიპლომატიის – ცოტნე; ბრძოლის ხელმარჯვე ოსტატი – დიდი მოურავია, პოლიტიკის დიდოსტატი – ერეკლე მეფე; სიტყვისა და ფილოსოფიისა – დიდი შოთა და მისი მიმდევარნი; სულისა და ღირსების – ნოდარი და ჭაბუა!

დაბოლოს, ყველაზე უმთავრესი, მსოფლიო ცივილიზაციის გადამრჩენად მაღალი ღმერთის მიერ სპეციალური მისიით მოვლენილი იოსებ სტალინი!!! სტალინმა თავისი ყოფიერებით საქართველო მსოფლიო არენაზე პაწაწა იად წარადგინა და მის მიმართ თვით გვირგვინოსანმა ვარდებმაც კი თავი დახარეს! 1944-ში მთელი საფრანგეთი სტალინისა და საქართველოს მზეს ფიცულობდა; დიდი ბრიტანეთი მადლობას უხდიდა – რადგან ერთ კუთხეში გერმანელების ბომბით ჩამონგრეული „ვესტმინსტერიის“ შენობა საერთოდ არ განადგურდა ისევე, როგორც ქალაქი ქოვენთრი, თავისი 28 ათასი მცხოვრებით, რომელთაგან უმეტესი ქალები და ბავშვები იყვნენ. პრემიერმა უინსტონ ჩერჩილმა თავისი სიჯიუტე, მაგრამ ჭეშმარიტება 1959 წელს „გადმოანთხია“ და ბრიტანეთის დიდ ენციკლოპედიაში შეატანინა: „რუსეთისათვის დიდი ბედნიერება იყო...“ მე ვიტყოდი, რომ „მსოფლიოსათვის დიდი ბედნიერება იყო, მსოფლიო ცივილიზაციის გადამრჩენის, იოსებ სტალინის ამქვეყნად მოვლენა“! ამერიკის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი 6-დღიანი ფრენის დასასრულს ელოდა საფრანგეთიდან თბილისში ექვთიმეს ხელით თამარის ჯვრის ჩამობრძანებას (1945 წ. 11 აპრილი) და, სტალინთან ურთიერთობით კმაყოფილი, მეორე დღეს (12 აპრილს) გადაბრძანდა მარადისობაში. აღარაფერს ვამბობ დანარჩენ ევროპაზე, აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის ხალხების მადლიერებაზე! შედეგი? ცივილიზაცია გადარჩა, მადლი არ დაიკარგა, სიყვარული არ გაქრა და სიცოცხლისადმი ზრუნვამ გაიმარჯვა!

მადლიერმა ერმა გორში ძეგლი დაუდგა! მაშინ სტალინი მე-20 საუკუნის ხილულ მიწიერ ღმერთად მიაჩნდა მსოფლიოს, ხალხმაც მისი ძეგლი ტრადიციისამებრ აღმოსავლეთით დაკიდა.

21-ე საუკუნეში უფლის მინიშნებით ძეგლი „ხედვის“ მიმართულების შეცვლას საჭიროებდა, მაგრამ უღმერთოებმა ვერაგულად გაანადგურეს!

დღეს საქართველო გაჭირვებაშია, ე.ი. უფალი გამოცდას გვიწყობს. მადლობა უნდა ვუთხრათ ამისათვის უფალს, არავითარი წუწუნი, არავითარი უმადურობა, იგი ჩვენთანაა: იშვა, აღსდგა და დღევანდელ დღეს ამაღლდა! აღარ უნდა გვეშინოდეს! ოღონდ, გორში, გორის ციხეზე ახალგაზრდობის მოთხოვნით უნდა აღვმართოთ სტალინის ძეგლი, ახლა უკვე პირით აღმოსავლეთით, მცხეთას და იესოს ხატს რომ უყუროს! დასავლეთით ყურება და სიარული ერს კარგს არაფერს მოუტანს. ქართველებს არსად წასვლა არ სჭირდებათ, მოვუაროთ ჩვენს მამულს და ერს! დასავლეთელმა აბორიგენებმა წინაპრების ძვლებით ივაჭრეს, მოყვასის მოძულენი გახდნენ და ჰომოსექსუალებად იქცნენ. მათზე ბრწყინვალე შედევრი (66-ე სონეტი) შექმნა უილიამ შექსპირმა, რომელიც დღეს ქართველებსაც მოგვესადაგება! აწყურის ღვთისმშობლის ხატი ჩვენთანაა და როცა ევერიის ყოვლადძლიერი ხატი თავად ჩამობრძანდება, ყველა და ყველაფერი ჩინებულად წარიმართება. საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება. ასეა დაწერილი და უფლისგან ასეც გაცხადდება!

ბერიძეებს გვიხარია, რომ დიდებული ერისა და ღირსეულ მამულიშვილთა ნაშიერნი ვართ. ჩვენ ბერისა და ერის შვილები გახლავართ. ჩვენი გვარი საეკლესიო და საერო ყველა გვარს აერთიანებს, ჩვენც ყველა გვარში ვართ. სწორედ ეს ჰარმონიაა ყველაზე დიდი სიყვარული, სიყვარული მშობლიური ერისა. ღმერთი იყოს ჩვენი ერისა და ქვეყნის მფარველი,

– ერო ძლიერო, უხმე გონიერებას ქართველი ხალხის სიბრძნის საუნჯეთაგან,

– ქართველებო, საქართველო ქართველი ერის სულიერი და მატერიალური სამკვიდროა მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში,

– მამულიშვილნო, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები, გავერთიანდეთ და ვუპატრონოთ ჩვენს სამშობლოს.

დიდება ერის დამოუკიდებლობასა და მის სულიერ სიდიადეს! სურველია, საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთის სასულიერო და საერო ტაძრებშიც მოხდეს ქართული ისტორიული წყაროების შესწავლა, ანალიზი, განზოგადება. ვფიქრობთ, საერთოდ შესასწავლია ქართველი ერის მისია და სიდიადე ამ პლანეტაზე! კარგი იქნება, თუ საქართველოს ძველ საზღვრებში (მ.შ. ტაო-კლარჯეთით) გამოვაცხადებთ „ქრისტიანობის სანუკვარ ქვეყნად“. ვფიქრობთ, ბევრი პრობლემა მოგვეხსნება.

ჩვენი დიდი სურვილია იმოღვაწოთ ენერგიულად, ბრძნულად, საქმით შეაყვარეთ თავი ქართველ ხალხს, რათა მეორე ვადითაც იყაროთ კენჭი. თქვენ უფლის წყალობა გმოსავთ, საქართველოს დღეს 8 ქვეყანა აკრავს, რვავე საპრეზიდენტოა და რვავეს პრეზიდენტი მამაკაცი ჰყავს. რადგან თქვენ მათ შორის ერთი მანდილოსანი ბრძანდებით, თქვენი სიტყვა უნდა იყოს ყველაზე ანგარიშგასაწევი, ღირსეული და გადამწყვეტი. არავითარი შიში! გაბედულად ჩაერთეთ ეროვნულ საქმეებში, ბერიძეები კბილებით დაგიცავთ! შეცდომაზე მინინიშნებთ, წარმატებას კი სათანადოდ დაგიფასებთ. გვერწმუნეთ, გარეჯს ვერ წაგვართმევს აზერბაიჯანი! შეწყალების ფაქტიც არაა დასაძრახი. მთავარია, ამ ადამიანებმა გაითავისონ შეწყალების თუნდაც კეთილშობილური მიზანი და ერთსულოვნად ჩადგნენ ქვეყნის ჭეშმარიტ მსახურებაში! საერთოდ, ქართველი კაცი ციხეში არ უნდა მოხვდეს.

უფალმა გიწყალობოთ! იმოქმედეთ გაბედულად, ეროვნულად, პროფესიონალურად (შექმენით ერის კაცთა საკონსულტაციო საბჭო), პრეზიდენტობის შემდეგ ევროკავშირის თავკაცობა გელოდებათ. მისი მართვა გაცილებით ადვილია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტობა.

გაიხარე შვილებითა და შთამომავლებით!

კოკი მახარაძის ნახატი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მის აღმატებულებას, ბატონ გიორგი გახარიას

ბატონო გიორგი,

გილოცავთ ვარდობისთვის ყველა ბრწყინვალე დღესასწაულს. იდღეგრძელე და გაიხარე ოჯახთან და მშობლიურ ერთან ერთად. გისურვებთ სულიერ და ყველანაირ ცხოვრებისეულ ამაღლებას.

დღეს, ერის სულიერი მამის – პატრიარქის გვერდით დგახართ, მოვლინილი ქვეყნის საერო თავკაცად და საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვან გვარს ძალზე გვწადია იაროთ აღმასვლით და ქართველთათვის იქცეთ ისეთ რეფორმატორად, როგორებიც იყვნენ: ქართული რენესანსის ეპოქაში – დავით აღმაშენებელი, ფრანგთათვის – რიშელიე და გერმანელთათვის – ოტო ბისმარკი. თქვენ საამისოდ ყველა თვისება გაგაჩნიათ. 31 ათასი ბერიძე თქვენს გვერდით გვიგულეთ, რათა ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს საფრთხე არ დაემუქროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ არჩილ თალაკვაძეს! ყველა დეპუტატს!

გილოცავთ ეროვნულ დღესასწაულებს. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ. გისურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებასა და ნაყოფიერ შემოქმედებას ქართველი ერის საკეთილდღეოდ. გისურვებთ, რომ სადღეისოდ უავტორიტეტო პარლამენტი გექციოთ ისეთ საკანონმდებლო ორგანოდ, რომელშიც ეროვნული სული და ღირსება იტრიალებს, სადაც პირველ რიგში ქართულ ოჯახზე იქნება ზრუნვა! აღარ იქნებიან ავანტურისტები, მხოლოდ საკუთარ ბიზნესზე მზრუნველნი, გრანტების მაძიებელნი, „მოფშვიტირენი“, მეამბოხეები, უმადურნი და მოღალატეები, „მკვდარ სულებზე“ აღარ გაიცემა ხელფასები.

შექმენით ერთსულოვანი პარლამენტი და იმოღვაწეთ ქართველი ერისათვის! მოახდინეთ სასიყვარულო გრძნობების კრისტალიზაცია.

უფალმა გიწყალობოთ!

ქართველ მედიკოსებს!

გილოცავთ უდიდეს გამარჯვებას! უღრმესი მადლობა, ქართული მედიცინის სკოლა რომ წარმოაჩინეთ საერთაშორისო არენაზე. მადლობა, რომ ერისთვის თავი გასწირეთ და სიკვდილს თვალებში ჩახედეთ უშიშრად. დღეს ქართველ პაციენტს აღარ სჭირდება ე.წ. „საზღვარგარეთ“ მკურნალობა! დაე, სუპერსახელმწიფოთა პაციენტები საქართველოს ეახლონ განსაკურნებლად.

ჩვენო მამულიშვილნო, სანამ საქართველოს პრეზიდენტი გიგოძეებდეთ ჯილდოებს, მიიღეთ ბერიძეთა დიდი გვარის გულწრფელი სიყვარული, რომელიც არც იზომება, არც იწონება და არც ქრება. იგი გაჰყვება თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს უფლის წყალობით თქვენს მიერ მიღებული მადლის მეგზურად. საერთაშორისო მასშტაბით ნიმუში ბრძანდებით, თუ როგორ უნდა ემსახურო ხალხს, ქვეყანას. ერი ამაყობს თქვენით. უფალმა დაგლოცოთ!

ავაღორძინოთ სამშობლო! დაე, საქართველოს ყველა სამრეკლოდან გუგუნებდეს მშვიდობისა და სიყვარულის ზარი და ქართული ცივილიზაციის დაისს არასოდეს შესწრებოდეს კაცობრიობა!



ქრისტესმიერი სიყვარულით,
ბერიძეთა გვარის ეთნარქი,
მამულის რიგითი მეცხოვნე-
მამულიშვილი
ვაჟა ბერიძე.
ტელ.: 599-33-53-60
თბილისი, 2020 წლის 28 მაისი,
ამაღლება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს

ჩვენო სულიერო მამავ, უფალმა დღეგრძელობა გიწყალობოთ, თქვენს საყვარელ მართლმადიდებელ მრევლთან ერთად. გულითადი მადლობა, რომ ერს ლოცვით, ზრუნვით, ნათლობით, რჩევით, თანადგომით, ცხონებით და სიბრძნით მოძღვრავთ. თქვენ ერისათვის წმინდანი ბრძანდებით. თქვენი კურთხევით სამშობლოს საყდართა ქვეშიც კი ლოცვას ღაღადებენ!

ბერიძეები შემოგცქერით და თქვენის მეოხებით ვხედავთ უფალს!

მმართველი პარტიის თავმჯდომარეს, ერის გამორჩეულ მამულიშვილსა და დიდ ქველმოქმედს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს!

ბერიძეთა გვარი გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულებს! გაიხარე თქვენი ცოლ-შვილით, ერთი შვილიშვილი ათასად გექცეთ. უფალმა დაგლოცოთ და გიწყალობოთ, რათა ქვეყანა სწორი გზით წაგეყვანოთ, რათა ერი სულიერ-ზნეობრივად ამაღლდეს, სამართლიანობამ დაისადგუროს და ეკონომიკურად აღორძინდეს.

უფალმა დაგლოცოთ! სულმნათი დედ-მამის ლოცვა არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს დედმამიშვილებს, თქვენ და თქვენს შთამომავალთ.

ბერიძეები მადლობას გწირავთ თქვენი ნაოფლარის სამშობლოს აღორძინებაში ჩაკირვისათვის, ქვეყანაში დამყარებული მშვიდობისთვის.

საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

თქვენო აღმატებულებავ, გილოცავთ უფალ იესო ქრისტეს ამაღლებას და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს!

ქალბატონო სალომე, ამ დიდებულ დღესასწაულებთან ერთად გვსურს მოგილოცოთ იერუსალიმის პატრიარქის მიერ ბოძებული ქრისტეს საფლავის მცველის ორდენი. ეს უფლის დიდი საჩუქარია და იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ვფიქრობთ, ეს უფრო დიდი ჯილდო-მადლია, ვიდრე ნობელის პრემიის ლაურეატობა. მიმაჩნია, რომ ბევრმა რატომღაც ვერ აღიქვა ამ მოვლენის სიდიადე და არ მიეცა სათანადო შეფასება. დიდად გვახარებს ის ფაქტი, რომ ქართველ მკვლევარ-მეცნიერებს მიეცემათ საშუალება, გაეცნონ ერის ისტორიულ წყაროებს იერუსალიმში. საქართველოს, საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთის სასულიერო და საერო ტაძრებშიც მოხდეს ქართული ისტორიული წყაროების შესწავლა, ანალიზი, განზოგადება. ვფიქრობთ, საერთოდ შესასწავლია ქართველი ერის მისია და სიდიადე ამ პლანეტაზე! კარგი იქნება, თუ საქართველოს ძველ საზღვრებში (მ.შ. ტაო-კლარჯეთით) გამოვაცხადებთ „ქრისტიანობის სანუკვარ ქვეყნად“. ვფიქრობთ, ბევრი პრობლემა მოგვეხსნება.

ჩვენი დიდი სურვილია იმოღვაწოთ ენერგიულად, ბრძნულად, საქმით შეაყვარეთ თავი ქართველ ხალხს, რათა მეორე ვადითაც იყაროთ კენჭი. თქვენ უფლის წყალობა გმოსავთ, საქართველოს დღეს 8 ქვეყანა აკრავს, რვავე საპრეზიდენტოა და რვავეს პრეზიდენტი მამაკაცი ჰყავს. რადგან თქვენ მათ შორის ერთი მანდილოსანი ბრძანდებით, თქვენი სიტყვა უნდა იყოს ყველაზე ანგარიშგასაწევი, ღირსეული და გადამწყვეტი. არავითარი შიში! გაბედულად ჩაერთეთ ეროვნულ საქმეებში, ბერიძეები კბილებით დაგიცავთ! შეცდომაზე მინინიშნებთ, წარმატებას კი სათანადოდ დაგიფასებთ. გვერწმუნეთ, გარეჯს ვერ წაგვართმევს აზერბაიჯანი! შეწყალების ფაქტიც არაა დასაძრახი. მთავარია, ამ ადამიანებმა გაითავისონ შეწყალების თუნდაც კეთილშობილური მიზანი და ერთსულოვნად ჩადგნენ ქვეყნის ჭეშმარიტ მსახურებაში! საერთოდ, ქართველი კაცი ციხეში არ უნდა მოხვდეს.

უფალმა გიწყალობოთ! იმოქმედეთ გაბედულად, ეროვნულად, პროფესიონალურად (შექმენით ერის კაცთა საკონსულტაციო საბჭო), პრეზიდენტობის შემდეგ ევროკავშირის თავკაცობა გელოდებათ. მისი მართვა გაცილებით ადვილია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტობა.

გაიხარე შვილებითა და შთამომავლებით!

დემურ გიორხელიძე:

საქართველოსნაირ უსუსურ პროვინციაში, რაკი კონგრესმენი უცხოელია, ცით მოვლენილი ჰგონიათ

ექსპერტი **დემურ გიორხელიძე for.ge**-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ პატიმრების შეწყალებით ხელისუფლებამ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, რაც არჩევნების შედეგებზე აუცილებლად აისახება.

— ბატონო დემურ, შეწყალების აქტმა, წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ იმიჯი კარგად შეანჯღრია. რა გათვლა იყო, ეს იყო პოლიტიკური უმეცრება თუ შეთანხმება პოზიციების დათმობაზე?

— როდესაც ბოლო დაჭერები მოხდა, ისიც დაკავშირებული იყო პოლიტიკურ აქტივობასთან, რომელიც ხელისუფლებას არანაირ საფრთხეს არ უქმნიდა. როცა ასეთ მომენტში იჭერ ადამიანს, აქ რაღაც შეთანხმებისმაგვარი შეიძლება იყოს. ამიტომ პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“, რომელიც დღეს დომინირებს, პოლიტიკური კრიტერიუმებით რომ შევაფასოთ, არ წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას, ეს არის ერთ კაცზე მიბმული შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც ისევე გაქრებიან ასპარეზიდან როგორც კი ის ერთი კაცი აღარ იქნება პოლიტიკაში. ისინი აკეთებენ იმას, რასაც აკეთებინებენ და შედეგი ყოველთვის ცუდი გამოდის. მართალია, მათი ვითომ ლიდერები საუბრობენ იმაზე, რომ ისინი არნახული უპირატესობით მოიგებენ არჩევნებს და შეიძლება, ასეც მოხდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ გამარჯვება, რომელიც რაიმე შედეგს მოუტანს სახელმწიფოს.

— დავუშვათ, რომ მართლაც სენატორების მიერ გაკეთებული განცხადებების შედეგი იყო პატიმრების გამოშვება, ეს არის თუ არა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევა?

— როცა ელჩები ასეთ რამეზე აქტიურობენ, მათ უნდა იცოდნენ, რომ ქართველი ხალხი გონიერია. მართალია, საზოგადოებას ამ გაჭირვებამ რაღაც თვისებები დააკარგვინა, აქტიურობა, პასუხისმგებლობა, მაგრამ მოვლენების შეფასება ჯერ კიდევ შეუძლიათ და ამით პოლიტიკოსების მიმართ ნეგატიური განწყობები იზრდება. რა საჭირო იყო ევროპის ელჩების აქტიურობა იმისთვის, რომ ორი ადამიანი ციხიდან გამოეშვათ?! ამიტომ, ყველაფერს აქვს თავისი შედეგები და, ალბათ, ასეთი რამ მაშინ ხდება, როდესაც მიაჩნიათ, რომ ხალხი არ წარმოადგენს იმ სიდიდეს, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. ფიქრობენ, რომ მთავარია, იქ გავლენიან პოლიტიკოსებში და ვიწრო ჯგუფებში დაალაგონ ურთიერთობა და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ისინი მოისურვებენ და არა ისე, როგორც ხალხი მოისურვებს ამას.

— ერთი წუთით დავუშვათ, რომ პრეზიდენტმა მართლაც დამოუკიდებლად მიიღო შეწყალების გადაწყვეტილება, ვისი აზრი იქნა ამ შემთხვევაში გათვალისწინებული, „ოცნების“ თუ დასავლელი პარტნიორების?

— როდესაც ბოლო დაკავება მოხდა, თავიდანვე გავაკეთე განცხადება, რომ ის იყო გათვლილი რაღაც მანევრზე, რომელიც ადრე თუ გვიან გამოჩნდებოდა, იმიტომ, რომ არანაირ ლოგიკაში მათი დაკავება არ ჯდებოდა, თუ გნებავთ, პოლიტიკური მიზანშეწონილობითაც. ასეთ რამეს ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი ოპოზიცია გაუთამაშებს ხელისუფლებას. ახალი აქ არაფერი არ მომხდარა, იმიტომ, რომ მათი დაკავება მათ აქტიურობას ეხებოდა. ცხადია, ბატონმა ოქრუაშვილმა როგორი აგრესიული განცხადებაც არ უნდა გააკეთოს, დღეს მას არ გააჩნია ის ძალა, რომ რაიმე საფრთხე შეუქმნას ხელისუფლებას. ამიტომ, სრულიად გაუგებარია, რამ უნდა შეგაშინოს. ეს ყველაფერი ფიქსირდება და თუკი შენი კანონმდებლობა გაძლევს საშუალებას, როცა პროცესის პოლიტიკური კონტექსტი მოიხსნება, მაშინ დაიკავებ და ვერც ვერავინ ამოიღებს ხმას, როდესაც ხელში გაქვს ისეთი რამ, რომელიც კანონდარღვევას ეხება. მაგრამ გააკეთეს შეთანხმებული მოძრაობა, რომელმაც აქამდე მიიყვანა საქმე და საით მიდის ეს ყველაფერი? მე ვფიქრობ, რომ თუ ქართველმა ხალხმა გონივრული არჩევანი გააკეთა, სულაც არ იქნება ეს ერთი პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ, ეს იქნება იდეალური ვარიანტი. ამ ეტაპზე გარდამავალი, რა თქმა უნდა, ეს ვერ იქნება საუკეთესო არჩევანი, მაგრამ, თუკი მივედით იქამდე, რომ აუცილებელი გახდა კოალიციური თამაშების დაწყება, ამ შემთხვევაში, ეს იქნება ერთი კარგი ნაბიჯი. თუ ქართველი ხალხი გადაწყვეტს, რომ ერთ კაცს მისცეს ხმა, მაშინ ამ შემთხვევაში, მიიღებს იმას, რაც აქვს, დადგება ეკონომიკური საფრთხეების, სიღარიბის წინაშე, განუვითარებლობის წინაშე და კვლავ გამოსავალს ნახავს იმაში, რომ ამ ქვეყნიდან წავიდეს...

— პოლიტიკურ არენაზე დარჩა „ქართული ოცნება“, გაერთიანებული ოპოზიცია და „პატრიოტთა ალიანსი“, რომელ პოლიტიკურ ძალას აქვს არჩევნებში მეტი შანსი?

— არჩევნებამდე თითქმის ხუთი თვეა დარჩენილი. ეს საქართველოს პირობებში უზარმაზარი დროა, აქ ყველაფერი მომენტალურად შეიძლება შეიცვალოს. ვის ექნება უპირატესობა, ეს მხოლოდ მათზეა დამოკიდებული: რამდენად შეძლებენ დაარწმუნონ მოქალაქეები, რომ ეს მოძრაობა იქნება უფრო პერსპექტიული. მაგრამ, თუ გარიგებაზე წავლენ ხელისუფლებასთან, მაშინ ამას ხალხი გრძნობს და ხელისუფლებას ექნება უპირატესობა. გარიგებებზე წამსვლელ პოლიტიკურ ძალას, ოპოზიცია იქნება ეს თუ სხვა, რა თქმა უნდა, ხალხი არ დაუჭერს მხარს.

— თქვით, რომ ამ პერიოდში შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს, მაგრამ რა უნდა უთხრას ისეთი განსხვავებული ხალხს „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი წარსულით, ისეთი წონადი, რომ ხალხის მხარდაჭერა მოიპოვოს?

— სიტუაცია თვითონ გეუბნება, რა სჭირდება ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და რა სჭირდება იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. მაგრამ „ქართული ოცნება“ ამაზე არ საუბრობს, „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია გეგმა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა. თუ ამას პოლიტიკური ძალებიდან ვინმე გასაგებად იტყვის, მე არა მგონია, ადამიანებმა ვერ გაიგონ, მაგრამ ამას უნდა ეტაპებად ჩამოყალიბება, საჭიროა ზუსტად თქმა, როდის რა უნდა გაკეთდეს და არა ფარული გარიგებები. სამწუხაროდ, ოცდაათი წელია, სწორედ ეს პრინციპი მუშაობს საქართველოში და იმიტომაცაა, რომ ქვეყანას ასე უჭირს.

— მედიაში და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გახარიას შეცვლაზეა ლაპარაკი... „ოცნებას“ აწყობს ასეთი რეიტინგული ფიგურის ჩამოშორება არჩევნების წინ?

— იმ მმართველობის სისტემაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, პრემიერ-მინისტრთან ერთად, ყველა ფიგურა არის ნომინალური, იმიტომ რომ, მართვა არ ხდება კონსტიტუციური ინსტიტუტების მეშვეობით. ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად არაფორმალური მართვა, ამიტომ, როდესაც ადამიანებს ნიშნავენ თანამდებობებზე, ჩვენ არ ვიცით, რატომ ნიშნავენ და რა დამსახურებით და ასევე, როდესაც ათავისუფლებენ, ჩვენ არ ვიცით, რატომ ათავისუფლებენ. ამიტომ, ბატონი გახარია იქნება თუ სხვა ვინმე, ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმ სისტემამდე, რომ გამარჯვებული პარტიის ხელმძღვანელი იყოს მთავარი კონსტიტუციური ინსტიტუტის ხელმძღვანელი და ყველა გადაწყვეტილებები მოხდეს სახელმწიფო ინსტიტუტების ფარგლებში. რამდენიც არ უნდა უსაყვედურო სააკაშვილს, ის იყო პრეზიდენტი და თუ რაიმე დანაშაულს სჩადიოდა, სახელმწიფო ოფიციალურ ორგანოში მყოფი ადამიანი აკეთებდა ამას. დღეს ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, რომლებსაც ნიშნავენ და ათავისუფლებენ, მაგრამ გამათავისუფლებელი და დამნიშნავი სულაც არ არის ოფიციალურ სივრცეში შემოსული.

ესაუბრა
შორენა გონგლაძე

ეს განცხადება სხვა არაფერია, თუ არა ცინიზმი!

წლების განმავლობაში რუსეთი მუდმივად არღვევს ღის ცის ხელშეკრულების დებულებებს და ახდენს მის პოლიტიზებას, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარშია ნათქვამი, რომლითაც უწყება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას ეხმაურება ღია ცის ხელშეკრულების შესახებ.

რუსეთის საგარეო უწყება განცხადებაში აღნიშნავს, რომ „რუსეთი მზადაა, დაუშვას სადამკვირვებლო მისიები საზღვრის გასწვრივ 10-კილომეტრიან ზონებში, თუ საქართველო რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე ფრენის ნებას მისცემს“.

„2010 წლიდან დღემდე რუსეთი აგრძელებს უშედეგო მცდელობებს, რომ ეს ხელშეკრულება გამოიყენოს, როგორც საქართველოს ოკუპირებული რეგიონების უკანონო აღიარების ლეგიტიმაციის ერთგვარი ინსტრუმენტი.

საგარეო უწყებაში აღნიშნავენ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი განცხადება, დაუშვას ღია ცის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადამკვირვებლო ფრენები ზემოხსენებულ 10-კილომეტრიან ზონებში, არ წარმოადგენს სიახლეს.

„აღნიშნული პოზიცია მათი მხრიდან ორი წლის წინაც გაჟღერდა (2018 წლის 23 აპრილის ღია ცის საკონსულტაციო კომისიის სხდომაზე გაკეთებული განცხადება და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 24 აპრილის განმარტებით განცხადება), რომლის მიხედვითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთი არ აპირებს თავისი პოლიტიკური მიზნების შეცვლას. ხელშეკრულების იმ მუხლებზე დაყრდნობით, რომელიც ეხება არაწევრ სახელმწიფოებს (ხელშეკრულების მე-6 მუხლის მეორე ნაწილს, ასევე მე-2 და მე-7 პარაგრაფები) და დაინტერესებულ მხარეებთან (ე.წ. „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი ქვეყნები“) კონსულტაციებზე მითითებით, რუსეთმა ღიად განაცხადა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო აღიარების ლეგიტიმაცია კვლავ რჩება მისი პოლიტიკური დღის წესრიგის ამოცანად“, — აცხადებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

„ნაციონალური მოძრაობის“ ამაო წამოწყებანი

„ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაფრის ფასად სურს, დაბრუნდეს ხელისუფლებაში. მათ გამოიგონეს ვითომ პოლიტიკურ პარტიებად დაშლის ფენომენი, ვითომ გამოიკვეთნენ ისინი, ვინც არიან მართლები და ამბობენ, რომ იყო შეცდომები, მაგრამ რეფორმები გაატარეს, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ისაუბრა.

მისი თქმით, არ არსებობს ნაციონალური მოძრაობის მიერ არც ერთი წამოწყება, რომელსაც შეიძლება დაარქვა რეფორმა, რომელიც მათ გაატარეს.

„ეს გადაცემა არ ეყოფა იმის ანალიზს, თუ რა გააკეთეს მათ, რითაც თავს იწონებენ. ხშირადაა საუბარი პატრულზე, იუსტიციის სახლებზე... ეს ყველაფერი იყო ზედაპირული წამოწყებები და ამას არანაირი სერიოზულობის კვალი არ ჰქონდა. მათ არ გაუტარებიათ არც ერთი ძირეული საკანონმდებლო რეფორმა. ისინი ნიჩბით ყრიდნენ ბავშვებს ციხეში. როდესაც ხელისუფლება არ ზრუნავს ბავშვზე და მას იმეტებს ციხისთვის, რა თქმა უნდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს ხელისუფლება საკნის ფანჯარაში კალაშნიკოვს შეყოფს და პატიმრებს ამოხოცავს. ამაზე რამდენიმე კვირის წინათ სტრასბურგის სასამართლომ დარღვევის გადაწყვეტილებაც დაადგინა“, — განაცხადა თეა წულუკიანმა. მათივე თქმით, 2012 წლის გადაწყვეტილება რჩება ძალაში.

არ არსებობს ინფიცირებული, ვინც სტაციონარული დახმარება ვერ მიიღო

(მეორე გვერდიდან)

მარტივად – ყველაფერი უნდა იყოს გონივრული და გეგმის შესაბამისად. ამ გეგმის მიხედვით, ვიდრე ქვეყანაში არ იქნება შესაძლებლობა, დღეში გარკვეული რაოდენობის ოქროს სტანდარტის ტესტის ჩატარების, ყველა სახის სწრაფი და ნაჩქარევი გახსნა არის ადამიანების სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენება. ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ, რომ ვიქნებით ერთ-ერთ პირველი ქვეყანა, რომელიც შეძლებს ტურიზმის გახსნას და ეკონომიკის ამოქმედებას, აქ პარალელურად პასუხისმგებლობას ვიღებთ იმაზე, რომ ამას მიჰყვება როგორც ჯანდაცვის სისტემის მზაობა, ასევე ლაბორატორიული ქსელის მზაობა. კერძო ლაბორატორიების ფუნქციაც აქ არის უკიდურესად მნიშვნელოვანი. ყველამ უნდა ვიცოდეთ, როდის და რა სახის გადაწყვეტილებები ან განცხადებები გავაკეთოთ“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

* * *

გამოიყოფა დამატებით 150 მილიონი ლარი, რათა უახლოეს პერიოდში სწრაფად მოხდეს ლტოლვილთა ბინებით უზრუნველყოფა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს იქნება პირდაპირი მხარდაჭერა სამშენებლო სექტორისთვის, რათა მათ გაუძლონ კრიზისს. **„გამოიყოფა დამატებით 150 მილიონი ლარი, რათა უახლოეს პერიოდში სწრაფად მოხდეს დევნილების ბინებით უზრუნველყოფა. ესეც იქნება პირდაპირი მხარდაჭერა სამშენებლო სექტორისთვის, რათა მათი მდგრადობა იყოს ძლიერი, მათ გაუძლონ ამ კრიზისს გრძელვადიან პერიოდში, არ განმეორდეს ის უბედურება, რაც მოხდა 2008 წლის კრიზისის შემდეგ, როდესაც უამრავი ოჯახი გაუბედურდა საქართველოში იმის გამო, რომ ბოლო შემოსავალი, ჰქონდათ ბინებში გადახდილი და დღესაც ქუჩაშია დარჩენილი“.**

* * *

რა თქმა უნდა, იმ ეტაპზე, როდესაც ჩვენ დავინახეთ, რომ გავრცელების სისწრაფე „ერ“ კოეფიციენტი, გადაცემის კლასტერული ფორმა, როგორ დაეცა მობილობა ქვეყანაში, უკვე ვნახეთ და მივხვდით, უკვე შეგვეძლო გვეთქვა, რომ ვირუსის გავრცელებას მთავრობა აკონტროლებს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენ სწრაფად მივიღეთ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც აძლევდა საშუალებას ეკონომიკას, უფრო მეტი ჟანგბადი მიეღო და ეკონომიკის გახსნის, შემსუბუქების და ადაპტაციის ეტაპები დავიწყეთ.

„აქ ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა გახლავთ ადაპტაცია. გახსნა ყველაფრის შეიძლება ერთ დღეში, არანაირი პრობლემა არ არის. ზოგიერთმა ჩვენმა მეზობელმა სცადა, ეს გახსნა ერთ დღეში რას ნიშნავს. მარტივია, თუ გახსნას არ მოჰყვება კონტროლის შესაბამისი მექანიზმები, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მოხდეს ვირუსთან ადაპტაცია როგორც ეკონომიკის, ჩვენი სოციალური ცხოვრების, ტურისტების მიღების, პოლიტიკური ცხოვრების იქნება თუ ყველაფრის, მათ შორის პარლამენტის მუშაობის, ეს ყველაფერი არის უაღრესად რისკის შემცველი ქვეყნისთვის.

ამიტომ, ჩვენ ვამბობთ, რომ შემსუბუქების და ადაპტაციის ეტაპი, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, არის უკიდურესად მნიშვნელოვანი და აქ პასუხისმგებლობა არის ყველასი კიდევ უფრო დიდი“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

სახელმწიფო მოახდენს იპოთეკური სესხების სუბსიდირებას ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც გადაწყვეტს წლის ბოლომდე იპოთეკური სესხის აღებას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სექტორი არის დეველოპმენტი და მშენებლობა.

„ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს კონკრეტული გეგმა დეველოპერებისთვის და მშენებლებისთვის. ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ კომპანიების დასახმარებლად. ეს არის იმ ჩვენი მოქალაქეების დახმარება, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ, რომ ბინა შეიძინონ და ცხოვრების პირობები გაიუმჯობესონ. არის მათთვის, ვინც უკვე ამ პროცესში შესულია, უკვე გადაწყვეტილი აქვს ან პირველადი შენატანი აქვს გადახდილი. მათთვის, ვინც უკვე მათ დაიწყეს სამშენებლო კომპანიასთან მუშაობა და მათი ბინა სამშენებლო ეტაპზეა. ყველა ასეთი რისკი სახელმწიფოს მხრიდან იქნება დაზღვეული, აბსოლუტურად ყველა რისკი, დღეიდან და წლის ბოლომდე“.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მათი მიზანია, რომ სამშენებლო სექტორი კრიზისის შემდგომ პერიოდში იგივე მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს, როგორშიც 2008 წლის მერე იყო.

* * *

მიუხედავად უდიდესი რისკებისა, ტრანზიტი საქართველოს გავლით არც ერთი დღე არ შეჩერებულა. პრემიერმა სხვა საკითხებთან ერთად სატვირთო გადაზიდვებზეც ისაუბრა.

„როდესაც ვსაუბრობთ სატვირთო გადაზიდვებზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველ 6 ათას მძღოლზეა აქ სუბარი. 6 ათასი მძღოლი, რომელსაც არც ერთი დღით სამუშაო არ დაუკარგავს, პირიქით, მას სახელმწიფო ეხმარებოდა“.

* * *

გიორგი გახარიამ ასევე ისაუბრა სამუშაო ადგილების შენარჩუნების თვალსაზრისით გატარებულ ღონისძიებებზე, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირებაზე. ასევე, თვითდასაქმებულთა და მოქალაქეთა სხვა ჯგუფების დახმარებაზე.

„გარდა ამისა, იმისთვის, რომ კომპანიებისთვის მიგვეცა შესაძლებლობა, შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები და ამით მივხმარებოდით ჩვენს მოქალაქეს, ყველა კომპანიის საშემოსავლო გადასახადი 150 ლარის ოდენობით, რომელიც შეეხო 750 ლარზე ნაკლებ ხელფასს, ესეც დაასუბსიდირა სახელმწიფომ. ეს იყო ღონისძიება, რომელიც აძლევს კომპანიას შესაძლებლობას, ჰქონდეს მეტი ლიკვიდობა და უბრალოდ ნაკლები ადამიანი გაუშვას სამსახურიდან. თვითდასაქმებულები, რომლებიც შეძლებენ ელემენტარულად დადასტურებას, რომ მათ სტაბილურად თვეში ჰქონდათ რაღაც სახის შემოსავალი, ისინი მიიღებენ ერთჯერადად 300 ლარის დახმარებას. ადამიანები და ეს არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 100 000-მდე, ესენი არიან ჩვენს სოციალურ ქსოვილში, ჩვენს სოციალურ ჯგუფში, ასე ვთქვათ, ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ადამიანები და ოჯახები, მათ განესაზღვრათ 600 ლარის დახმარება. მრავალშვილიან ოჯახებს, და ასეთი არის 22 000 ოჯახი, განესაზღვრათ ასევე 600 ლარის დახმარება. შშმ პირებს, რომლებიც არიან 40 000, მათაც განესაზღვრათ 600 ლარის ოდენობის დახმარება. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, ეს არის ჩვენი მოქალაქეების სოციალური დახმარება, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

გუშინვე, პრემიერის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, პარლამენტში ოპოზიციის „დანთებულ ცეცხლს“ გიორგი გახარიამ ჩვეულებრივი დამაჯერებლობით, პრინციპულობით და უშუალობით გადაასხა ცივი წყალი და სამადაშვილ-ბოკუჩავას, ბოკერია-კახიძის, გოცირიძე-ბობოხიძის, კანდელაკი-რატიანის და სხვათა პოპულიზმს წერტილი დაუსვა...

<u>გიორგი მამაცაშვილი:</u> პოლიციელისთვის ისეთი შეურაცხყოფა რომ ვინმეს მიეყენებინა, რაც გრიგოლ ვაშაძემ გააკეთა, წარმოგიდგენიათ მერაბიშვილის სადისტების ხელში რა ბედი ელოდა?

მედიაჰოლდინგ „რეპორტიორის“ გენერალურმა დირექტორმა **გიორგი მამაცაშვილმა** „POST TV“-ის ეთერში გადაცემაში „პოლიტიკური ინტერვიუ შალვა რამიშვილთან ერთად“ 2011 წლის 26 მაისის მოვლენები გაიხსენა.

– როგორი იყო შენი 26 მაისი, რა ხდებოდა ამ დღეს?

– ცოტა ძნელია გასახსენებლად. არსებობს ვიდეო, რომელიც „25-ე არხმა“ გადაიღო, სადაც კადრებში ნათლად ჩანს, მე და ჩემი კოლეგა ბექა სივსივაძე როგორ გავრბივართ თავისუფლების მოედნისკენ და მეტრნახევარი მანძილიდან როგორი გავეშებულები და როგორი დამიზნებით გვესვრიან რეზინის ტყვიებს სპეცრაზმელები.

– იქ შენს პროფესიულ მოვალეობას ასრულებდი....

– იქ ვიყავი როგორც ჟურნალისტი, შეიარაღებული დიქტოფონით, ფოტოაპარატით და ა.შ.

– შენი იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო?

– აბსოლუტურად შესაძლებელი იყო. მეცვა შესაბამისი ჟილეტი და ხელში მეკავა ფოტოაპარატი. როდესაც მერიის განცხადება წაიკითხეს და ხალხმა მეტ-ნაკლებად გაშლა დაიწყო სხვადასხვა გასასვლელებისკენ, მე და ბექა წამოვედით მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მხარეს და დავინახეთ, რომ სპეცრაზმი იდგა. საბუთიც ვაჩვენეთ, ვუთხარით, ხმამაღლა დავუყვირეთ, რომ ჟურნალისტები ვიყავით. გზა ჩაკეტილი იყო და გაგვიშვეს დაბლა, მერიისკენ. წავედით. იქიდან წამოვიდნენ უკვე დათა ახალაიას შეიარაღებული ბანდფორმირებები. მიუხედავად ჩვენი გაფრთხილებისა, ყვირილისა და შეძახილებისა, რომ ჟურნალისტები ვიყავით, უფრო მეტად, გავეშებით მოგვდევდნენ ფეხდაფეხ. დაახლოებით 50 სპეცრაზმელი გაშლილად მოდიოდა, მაგრამ 4-5 მე და ბექას გამოგვეკიდა.

37-38 ნატყვიარი ჰქონდა ბექას და 33 – მე. რეზინის ტყვიებით ვიყავით დაცხრილულები თავზე, სხეულზე, ტყვისგან ბექას ყური ჰქონდა მთლიანად მოხეული. თავისუფლების მოედანზე დავკარგე გონება. როდესაც მოვედით გონზე თავისუფლების მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ სადაც დღეს ყვავილებს ყიდიან, ე.წ ხამუთებით ვიყავით დაბმულები მეც, ბექაც და დაახლოებით 5-6 ადამიანი. ერთად ვიყავით, ჯგუფურად დაყრილები. როდესაც მომიახლოვდა ერთ-ერთი სპეცრაზმელი, მკითხა პირადობა თუ გაქვსო. ჟურნალისტი რომ ვიყავი, მანამდე უკვე მქონდა ნათქვამი. ამომიღეს ჯიბიდან ყველანაირი საბუთი, თუკი რამ მქონდა ჯიბეში, წავიდნენ და რომ მობრუნდნენ, მკითხეს – „ეს შენ ხარ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტიო?“ – და უფრო გამეტებით დამიწყეს ცემა.

როდესაც ბურჯანაძის ესკორტიც ჩავლილი იყო და ლიდერები უკვე წასულები იყვნენ, ავტობუსებისკენ წამოგვიყვანეს. სპეცრაზმელების ალყაში იდგა ირაკლი გედენიძე, რომელიც ამ ყველაფერს იღებდა. ირაკლიმ მიცნო. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თუ ცოცხალი ვარ, ირაკლის დამსახურებაა! ირაკლიმ, ჟურნალისტია, გაუშვითო და სწორედ ამ ცემა-ტყეპის და შეურაცხყოფის შემდეგ გაგვიშვეს.

ვიყავით ალექსანდრე გეჯაძესთან, რომელსაც კერძო ექსპერტიზის ბიურო ჰქონდა. ის გვერდში ედგა ყველა დაზარალებულს. სამხარაულის ბიურომაც ვერ შეძლო და თვალი ვერ დახუჭა იმ დაზიანებებზე, რაც გვქონდა. რეაბილიტაციის ცენტრში დავდიოდით. დღესაც ვერ ვხმარობ მარჯვენა ხელს ისე, როგორც უნდა ვხმარობდე. შეიძლება, 5-7 წუთი ვწერო და მერე უკვე მტკივდება. თავში დღესაც დაზიანებები მაქვს. საკმაოდ მძიმე დაზიანებები აღმოგვაჩნდა მეც და ბექასაც.

– თქვენ გიცნეს თუ მარაქაში გაგრიეს?

– თავიდან მარაქაში გაგვრიეს, მაგრამ, როცა მიცნეს და გაიგეს, რომ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი ვიყავი, ორმაგად მცემეს.

– რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ეს ამბავი, რომელზეც განაჩენიცაა დამდგარი და თითქოს ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაინც გავახსენოთ ხალხს?

– ესაა ჩვენი ისტორია. მოსწონს ვიღაცას ეს თუ არა, ჩვენი სისხლიანი ისტორიაა!. ეს უნდა ახსოვდეს სწორედ იმ ახალგაზრდა თაობას, რომელიც პოლიციის ერთი ყურის აწევაზე და კანონის დაცვის მოწოდებაზეც კი ფაფხურობს. შეურაცხყოფა იყო ის, რაც 7 ნოემბერს მოხდა!

თქვენ წარმოგიდგენიათ, ვინმეს რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს, ოპოზიციურად განწყობილ აქტივისტს პოლიციელისთვის იმ დონის შეურაცხყოფა რომ მიეყენებინა, რაც გრიგოლ ვაშაძემ გააკეთა, როდესაც ჩაჩქანში ჩაარტყა, თქვენ წარმოგიდგენიათ იმ პოლიტიკურ მოღვაწეს მერაბიშვილის სადისტების ხელში რა ბედი ელოდა? ამიტომ არის სწორედ გასახსენებელი...

იმ მოწოდებებს და სცენებს, პოლიციელების შეურაცხყოფას, რაც ივნისის დღეებში ხდებოდა, წარმოგიდგენიათ, რა რეაგირება მოჰყვებოდა სააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიების პერიოდში? ადგილზევე დახვრეტდნენ და ნულოვანი ტოლერანტობა იქნებოდა კიდევ უფრო დიდი მოგონება... დღეს შეიძლება გვეღიმება, რაღაცებზე ვსაუბრობთ, თუმცა ძალიან მძიმეა თითოეული ჩვენგანისთვის გასახსენებლად... მართლა „ბართლომეს ღამე“ იყო, ისეთი უბედურება ტრიალებდა... 7 ნოემბერიც გამომივლია, მაგრამ მსგავსი რამ, რაც 26 მაისს ხდებოდა, პიკი იყო...

თუ ხელისუფლება ხალხის სამსახურში იქნება, ვერავინ ვერაფერს დააკლებს!

საბედისწერო შეწყალება, რა იქნება ხვალ?!

პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ საზოგადოების დიდი ნაწილი რომ შოკში ჩააგდო – რბილად ნათქვამია, მაგრამ ფაქტია და მას ვერსად გავექცევით. საზოგადოებისთვის ე.წ. პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება არ იქნებოდა გასაოცარი „ქართული“ საოცრებებით აღსავსე ქვეყანაში, მაგრამ უცაბედმა, მოულოდნელმა ნაბიჯმა დააბნია ხალხი, მათ შორის შეწყალებული „პოლიტპატიმრებიც“.

პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესახებ „ოცნების“ ლიდერებმა რომ არ იცოდნენ, ნათლად იყო ასახული მათ სახეებზე ტელეეკრანებზე გამოჩენისას. ეჭვს აჩენდა პრეზიდენტის განცხადებაც, რომ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო.

პრეზიდენტი ზურაბიშვილი, მართალია გამოირჩევა სპონტანური განცხადებებით, რაც უხერხულებას უქმნის მმართველ პარტიას, მაგრამ „პოლიტპატიმრების“ ციხიდან გამოშვება რომ მმართველი პარტიის პრესტიჟის საქმე იყო, არაერთხელ ითქვა პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის, „ოცნების“ სხვა ლიდერების მიერ. ისინი დაბეჯითებით აუწყებდნენ საზოგადოებას, რომ აშშ-ის საელჩოში ხელმოწერილ ორპუნქტიან შეთანხმებაში არსად იყო ნახსენები „პოლიტპატიმრების“ ციხიდან გამოშვების თაობაზე, ვინაიდან ასეთები საქართველოში არ არიან, ხოლო, ვინც სასჯელს იხდის, კრიმინალები არიან. მაშ, რასთან გვაქვს საქმე? უფრო სწორად ვისთან?

ზურაბიშვილის მოგვიანებით გაკეთებული განცხადება, რომ მან ჩააყენა საქმის კურსში ივანიშვილი, გახარია, თალაკვაძე, საზოგადოებამ არ მიიღო.

თუ რამ აიძულა ივანიშვილის ხელისუფლება ასე მოქცეულიყო?! – ამის თაობაზეც ითქვა მედიაში – აშშ-ის სენატორების მიმართვა სახელმწიფო მდივნის პომპეოსადმი ივანიშვილის ფინანსური „მაქინაციების“ შესწავლის მიზნით. წყარო ივანიშვილის „ბნელი“ ფინანსური ოპერაციებისა „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელიც 8 წელიწადია საქვეყნოდ გაჰყვირის ივანიშვილის რუსულ ფინანსურ „მაფიასთან“, ახლა კი ირანულთან კავშირების თაობაზე, ივანიშვილის – რუს ოლიგარქობაზე და ა.შ.

ნაცებმა და მათმა „ბელადმა“ სააკაშვილმა ივანიშვილის „შავბნელ“ ფინანსურ მაქინაციებზე მაშინ დაიწყეს ლაპარაკი, როდესაც ივანიშვილის ძალისხმევით დაკარგეს ხელისუფლება. არადა, ივანიშვილი მანამდეც არსებობდა და „ვარდების რევოლუციიდან“ მოყოლებული 2018 წლამდე უხვად აფინანსებდა ჯარს, პოლიციას, სახელმწიფო აპარატს, სააკაშვილის ოჯახს ... და ჩვენ, რომ სოროსი გვეგონა, ივანიშვილი ყოფილა!

ივანიშვილი მაშინ გახდა რუსი ოლიგარქი, როდესაც სააკაშვილს განუდგა, თორემ მანამდე ის სააკაშვილისთვის მისაღები ქველმოქმედი იყო და ასეთად დარჩებოდა, რომ მათ შორის შავ კატას არ გაევლო.

შეწყალების აქტით გახარებულმა და წელგამართულმა ოპოზიციამ, რომელმაც თავისი გაიტანა, კატეგორიული ტონით იწყო ლაპარაკი, რაც არჩევნებამდე გაგრძელდება. ხელისუფლებაზე „ზეწოლა“, იდეოლოგიური ომი, ცრუ, უხამსი ლანძღვა-გინება ფართო მასშტაბებს მიიღებს, ხოლო დაბნეულ „ოცნებაში“, ქართული ტრადიციული პოლიტიკიდან გამომდინარე, დაიწყება ერთმანეთში უნდობლობის გაღვივება, პარტიის რიგების დატოვება და ა.შ.

„ოცნების“ ხელისუფლება ვეღარ იქნება კატეგორიული თავის გადაწყვეტილებებში, მათ შორის არჩევნების დროსაც. დასავლეთის მიერ კონტროლირებულ ხელისუფლებას გაუჭირდება უწინდებურად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. გათამამებული ოპოზიცია არ მისცემს ამის საშუალებას.

რაც მთავარია, გადადებს თავს ამომრჩეველი „ოცნებისთვის“? როდესაც მან (ამომრჩეველმა) უგულავა, რურუა, ოქრუაშვილის დაპატიმრებით იფიქრა, რომ „ოცნება“ გონს მოეგო და დაიწყო სამართლიანობის აღდგენის ახალი ეტაპი, იქვე იწვნია უდიდესი იმედგაცრუება.

საქართველოს თანამედროვე ისტორიაში არაეთხელ გვინახავს ვითარების კარდინალური ცვლილება. გავიხსენოთ 1990 წლის პოლიტიკური ბატალიები, ეროვნული მოძრაობის გააქტიურება, კომპარტიის წინააღმდეგ გაშლილი ბრძოლა ხელისუფლებისთვის. მაშინ, ისე, როგორც დღეს, მთავარი ყურადღება საარჩევნო კანონზე იყო მიპყრობილი. კომუნისტების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო კანონპროექტის ორ ვარიანტს „მრგვალმა მაგიდამ“ ერთი დაუპირისპირა. სამივე ვარიანტი განიხილა კომუნისტური უზენაესი საბჭოს 440 დეპუტატმა, რომელმაც იძულებით გამსახურდიას კანონპროექტს დაუჭირა მხარი.

ვინმე იფიქრებდა, რომ კომუნისტური უზენაესი საბჭო თავის სასიცოცხლო 2 კანონპროექტიდან არც ერთს მხარს არ დაუჭერდა და მათ ნაცვლად ხმას გამსახურდიას პროექტს მისცემდა?

მაგრამ, როდესაც ოპოზიციის მომხრე საზოგადოებამ უზენაესი საბჭოს შენობას ალყა შემოარტყა და სხდომის მონაწილე დეპუტატებს ლანძღვა-გინების და სიცოცხლის საფრთხის შემცველი შეძახილები გაუგზავნა, ისიც დაფრთხა და საკუთარი თავის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო.

ფაქტიურად, იმ სხდომაზე გადაწყდა არჩევნების და საქართველოს ბედიც.

არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ქვეყანას ისევ კომუნისტური ხელისუფლება მართავდა, მაგრამ ნომინალურად. არჩევნები წარიმართა საბჭოთა კავშირისთვის სრულიად განსხვავებული წესით – მრავალპარტიულით და მასში გამარჯვება მოიპოვა ოპოზიციამ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“... უზენაეს საბჭოში კომუნისტებიც შევიდნენ, ოღონდ უმცირესობით.

რით იყო გამოწვეული კომუნისტების მარცხი? საბჭოური 70-წლინი მმართველობის უნიათობით, 1989 წლის ტრაგიკული 9 აპრილით თუ ცენტრისა და ავტონომიების კინკლაობით?

რა თქმა უნდა, მარცხი აქ ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა ერთობლიობამ გამოიწვია. ამას ემატებოდა ის ექსპერიმენტი, რომელიც მოსკოვში დაიგეგმა. საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის მიერ დაწყებულმა „პერესტროიკის“ ტალღებმა საბჭოთა საქართველო საცდელ პოლიგონად აქცია. კრემლს დასავლეთისთვის, კერძოდ აშშ-ის ადმინისტრაციისთვის უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს დემოკრატიულ ძვრებს, მაგალითად, საქართველოში, სადაც არათუ მრავალპარტიული არჩევნები ტარდება, არამედ არჩევნებში ოპოზიცია იმარჯვებს.

კომპარტიის მაშინდელი ლიდერები, რომლებიც მოსკოვში ხვდებოდნენ შევარდნაძეს, გაოცებულები იყვნენ შევარდნაძის თხოვნით – ხელი შეეწყოთ გამსახურდიას ხელისუფლებისთვის.

ეს არ იყო გამოწვეული გამსახურდიას ან ოპოზიციის სიყვარულით. მას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა კრემლისთვის – ამერიკელთა მაამებლობა. თვით გამსახურდიამ, ისე, როგორც „მრგვალმა მაგიდამ“ ირწმუნეს, რომ გარედან მხარდაჭერის გარეშე გაიმარჯვეს. მათ ერთი წუთითაც არ დაუშვეს, რომ საბჭოთა კავშირს იმის ძალა მაინც შესწევდა, არჩევნები კომუნისტების სასარგებლოდ დაემთავრებინა.

რაც შეეხება „მრგვალ მაგიდას“ და გამსახურდიას – გამოუცდელობამ, მოჭარბებულმა ამბიციურობამ, ოპოზიციური და გარე ძალების მოღალატეობრივმა ანტისახელისუფლებო გამოსვლებმა, ბოლოს კი, სისხლიანმა დაპირისპირებამ, სამოქალაქო ომმა მოუსწრაფა სიცოცხლე!

აქაც, ისე, როგორც წინა შემთხვევაში, იგრძნობოდა ვაშინგტონის ხელი, რომელსაც არ მოსწონდა გამსახურდიას – „დინების საწინააღმდეგო ცურვა“. კომუნისტებმა, უკვე სხვაგვარად შეფერილებმა, მალე აიღეს რევანში, თუმცა შევარდნაძის ხელისუფლებასაც ისეთივე ბედი ეწია, როგორიც წინამორბედს, ოდნავ განსხვავებული ნიუანსებით.

მაშინაც, როგორც ადრე, ვაშინგტონმა იაქტიურა, ოღონდ ამჟამად არა კულისებიდან, არამედ პოლიტიკური სცენიდან და „პერესტროიკის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბერლინის კედლის დამანგრეველი შევარდნაძე – ახალგაზრდა, აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ გამოწვრთნილი, არაადეკვატური, არამზადა სააკაშვილით ჩაანაცვლა. ეს უკანასკნელი კი გაუწონასწორებელი ხასიათისა და აშკარა დანაშაულების გამო 2012 წელს ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალა. სააკაშვილს, რომელმაც 9 წლის განმავლობაში მრავალი საშინელება არგუნა ქვეყანას, უკრაინაში უკრეს თავი – ხან ოდესის მხარის გუბერნატორად, ამჯერად – მთავარ რეფორმატორად!..

აშშ-ის გავლენიანი ძალები არ ივიწყებენ სააკაშვილის მონურ მორჩილებას და შეძლებისდაგვარად ფიქრობენ საქართველოში მის დაბრუნებაზე. შესაძლებლობას კი თვით გაჩენენ. ამის ნათელი მაგალითი ხელისუფლების ხელში ვითომდა ჩასაგდებად ე.წ. გავრილოვის რევოლუცია იყო, რომელსაც წინ აღუდგა ოპოზიცია. ცალტვინა ოპოზიციონერების განცხადებებით – ოპოზიციამ გადაარჩინა საქართველო რუსული გადატრიალებისგან“!

იმ დღიდან მოყოლებული, ოპოზიცია და მისი „სტრატეგიული“, ოკეანისგადაღმელი მასწავლებლები მოურიდებლად ერევიან ქვეყნის საშინაო საქმეებში და ცდილობენ, პოლიტიკური პროცესები ისე წარმართონ, რომ ოპოზიციამ გაიმარჯვოს მომავალ არჩევნებში.

ქვეყანა, უკვე მერამდენედ, მძიმე პრობლემების წინაშეა. ასეთ დროს ხელისუფლება ხალხთან კავშირზე უნდა ფიქრობდეს და არა კაბინეტებისთვის სავარძლების შეძენაზე. ხალხის მოთხოვნებს არა ფორმალურად, არამედ პრაქტიკულად უნდა გასცეს პასუხი და შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილოს. ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ ძველი ლოზუნგი – თუ ჩვენ არ აგვირჩევთ, ისევ „ბუა“ სააკაშვილი მოვა – აღარ მოქმედებს, ვინაიდან ელექტორატის ახალმა ნაწილმა ნაკლებად იცის სააკაშვილის შავბნელი საქმეები. 2016 წლის არჩევნებში მათ ასაკის გამო მონაწილეობა არ მიუღიათ. ნაციონალების და სხვა ოპოზიციური ძალების პროპაგანდის ატმოსფეროში მოქცეულები ისინი ხელისუფლების საწინააღმდეგო მხარეს გადაიხრებიან.

ვერც ერთ ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებს შიდა და გარე მტრები, თუკი ხელისუფლება ხალხის სამსახურში იქნება.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

რუსები ლიბიელებს ეხმარებიან

აშშ-ის აფრიკული სარდლობის განცხადებით რუსეთმა ლიბიაში ავიაგამანადგურებლები გაგზავნა, რომლებიც რუსულ სამხედრო კომპანია „ვაგნერს“ უნდა დაეხმაროს, რომელიც ხალიფა ჰაფტარის მხარეს იბრძვის, – წერს BBC. რუსული მხარე ლიბიაში მის მიერ დაქირავებული სამხედროების ყოფნას არ აღიარებს.

„რუსული გამანადგურებლები რუსეთიდან ლიბიაში სირიის გავლით მოხვდნენ. სირიაში თვითმფრინავები შენიღბვის მიზნით გადაღებეს. სავარაუდოდ, ამ თვითმფრინავების ამოცანა ჯგუფ „ვაგნერი“ მხარდაჭერა იქნება“, – ნათქვამია აშშ-ის სამხედროების განცხადებაში. 2011 წელს მუამარ კადაფის გადაყენების შემდეგ, ლიბიაში ორმმართველობა ჩამოყალიბდა. ტრიპოლი და ქვეყნის დასავლეთ მხარე ხელისუფლების კონტროლის ქვეშაა, რომელსაც მხარს უჭერს გაერო. აღმოსავლეთ ნაწილი და სამხრეთი 2014 წელს არჩეული „ტობრუკეს“ მთავრობის კონტროლის ქვეშაა, რომელიც ხალიფა ჰაფტარის და მისი ჯარის მომხრეა.

ნაგვიანევი აღლუმი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს უბრძანა, დაიწყოს მზადება ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავი აღლუმისთვის, რომელიც მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში 24 ივნისს უნდა გაიმართოს. პრეზიდენტის ბრძანებით, აღლუმის დროს მაქსიმალურად უნდა იყოს შემცირებული მონაწილეთა უსაფრთხოების რისკები, მათ შორის კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ზომები. შეგახსენებთ, რუსეთის პრეზიდენტმა კორონავირუსის გავრცელების გამო 9 მაისის სამხედრო აღლუმი გადადო.

აფხაზური საჯილდოო იარაღის კრიმინალური კვალი

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ შს „მინისტრ“ დიმიტრი დბარს იმ პირთა სიის მომზადება დაავალა, რომლებსაც 2015-2020 წ.წ. პერიოდში აფხაზეთში „სხვადასხვა დამსახურებებისთვის“ ჯილდოდ იარაღი გადაეცათ, გადაამოწმოს, ხომ არ არიან დაჯილდოებულთა შორის კრიმინალური წარსულის მქონე პირები და ასეთების აღმოჩენის შემთხვევაში მათ იარაღი „სახელმწიფოს სასარგებლოდ“ ჩამოერთვათ. დე ფაქტო მინისტრს ასევე დაევალა, იმავე პერიოდის განმავლობაში მომხდარი მკვლელობებისა და სხვა დანაშაულების სია შეადგინოს და დე ფაქტო პრეზიდენტს სისხლის სამართლის შესაბამისი საქმეების ამჟამინდელი მდგომარეობა მოახსენოს. ტელეგრამ-არხი „Абхазия-Центр“ დე ფაქტო პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას რუს მილიარდერ დიმიტრი ბოსოვის ამასწინანდელი სიკვდილის ფაქტს უკავშირებს. სოცქსელების აფხაზური სეგმენტის მონაწილეებმა კი გაიხსენეს რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტების მთელი სერია, რომელიც რუსულმა მედიამ სხვადასხვა დროს აფხაზურ საჯილდოო იარაღს დაუკავშირა.

ცნობისთვის: დიმიტრი ბოსოვი 6 მაისს, გამთენიისას მოსკოვის პრესტიჟულ უბან რუბლიოვკაში მდებარე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. რუსული მედიის ცნობით, ცხედრის გვერდზე იდო Glock19 gen4 მარკის საჯილდოო იარაღი, რომელიც ბოსოვს თითქოსდა გარკვეული დამსახურებებისთვის ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო შს სამინისტროსგან ჰქონდა მიღებული.

როგორც „Абхазия-Центр“ აღნიშნავს, ასლან ბჟანიას განკარგულებაში ორი საეჭვო მომენტია: **1) რატომ მოიცავს შემოწმება მხოლოდ რაულ ხაჯიმბას დე ფაქტო მმართველობის წლებს? 2) რატომ არ ინტერესდება დე ფაქტო პრეზიდენტი, საიდან ჩნდება ოკუპირებულ აფხაზეთში ავსტრიული წარმოების ძვირადღირებული პისტოლეტები Glock? არხის მესვეურების ვარაუდით, „იარაღი აფხაზეთში საქართველოდან ხვდება, სადაც ცეცხლსასროლი იარაღის ქონა ნებადართულია“.**

რამდენიმე წლის წინ ეს თემა გააშუქა პეტერბურგულმა გამოცემა Фонтарка.ру-მაც. დენის კოროტკოვის 2017 წლის 9 მარტის პუბლიკაციაში სათაურით „რისთვის აიარაღებს აფხაზეთი რუსულ ბიზნესს“ ნათქვამი იყო, რომ რუსეთში აფხაზური საჯილდოო იარაღის გამოჩენის შემთხვევები არაერთია.

ასე, მაგალითად, **2017 წლის 15 ნოემბერს მოსკოვის ოლქის დაბა ფრიაზინოში მეწარმე გრიგორ აგაკიანმა ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილესთან კონფლიქტის დროს ცეცხლი გახსნა საბრძოლო პისტოლეტიდან. ინციდენტს მსვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ აგაკიანს ეს იარაღი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისგან ჰქონდა მიღებული.**

კიდევ უფრო ადრე, იმავე წლის 22 თებერვალს პეტერბურგში გადამდგარმა მაიორმა იური მეშჩერიაკოვმა სავაჭრო ცენტრის სიახლოვეს მასზე თავდასხმაში მონაწილე სამი პირიდან ერთ-ერთი მოკლა, მეორე კი დაჭრა. ადგილზე მისულ მილიციელებს მან ნებართვა უჩვენა იარაღის ტარებაზე, რომელიც, როგორც თავად განაცხადა, აფხაზური დე ფაქტო მთავრობისგან მიიღო ჯილდოდ. მოგვიანებით მეშჩერიაკოვის ბინის ჩხრეკისას საჯილდოო აფხაზური საბუთები აღმოაჩინეს. Фонтарка.ру-ს ცნობით, მეშჩერიაკოვის იარაღს „ბნელი“ ისტორია ჰქონდა: იგი ყაზახეთში მოიპარეს, რის შემდეგაც ჩეჩენი ე.წ. ბოევიკების ხელში გამოიარა.

Фонтарка.ру შეეცადა, გაერკვია, **რამდენი ერთეული აფხაზური იარაღია ამჟამად რუსეთის მოქალაქეების ხელში. გამოცემამ მილიციის პოლკოვნიკ სერგეი დერევიაშკინს მიმართა, რომელიც სანებართვო სამუშაოს კუთხით მთავარ სპეციალისტად მოიაზრება. მისი თქმით, უცხოური მთავრობების მიერ იარაღით დაჯილდოება ლეგალური შეიარაღების ერთ-ერთი გზაა და სავარაუდოდ, რუსეთის მოქალაქეებზე უმთავრესად აფხაზეთის მიერ ასობით ერთეული იარაღია გადაცემული.**

დენის კოროტკოვის ინფორმაციით, Фонтарка.ру-მ აფხაზეთის დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტიდან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, რუსეთის რამდენმა მოქალაქემ და რა დამსახურებისთვის მიიღო მისგან საჯილდოო იარაღი, თუმცა, პასუხი ამ დრომდე არ მისვლია.

როგორც „Эхо Кавказа“ აღნიშნავს, საკითხს აფხაზური პრედისტორიაც აქვს: **2016 წლის გაზაფხულზე დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატმა ალმას ჯოპუამ სოცქსელში გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოიპოვა რუსეთის იმ მოქალაქეების სია, რომელთაც 2015 წელს აფხაზეთში საჯილდოო იარაღი გადასცეს. სიის 33 ფიგურანტიდან, ჯოპუას თქმით, არ იყო არც ერთი ადამიანი, რომელსაც აფხაზეთთან რაიმე კავშირი მაინც ჰქონდა და ვერავითარ ინფორმაციას „რესპუბლიკის“ წინაშე მათი დამსახურებების ან ღვაწლის შესახებ მან ვერ მიაკვლია.**

რაულ ხაჯიმბას დე ფაქტო მთავრობამ ჯოპუას განცხადებებს „პროვოკაციული“, „დამახინჯებული“ უწოდა და განაცხადა, რომ „იარაღით დაჯილდოების პრაქტიკა შეესაბამება ტრადიციებს“, ხოლო „იმ პირთა შორის, რომლებიც დაჯილდოვდნენ, არიან გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ხელმძღვანელები, ასევე რიგი სხვა პირები, მათ შორის, ისინი, ვისი დამსახურებაც აფხაზეთის წინაშე ამჟამად სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ საჯაროვდება“.

რატომ ამოტივტივდა ეს თემა ამჟამად დე ფაქტო პრეზიდენტის განკარგულების სახით — ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა. უცნობია ისიც, იქნება თუ არა საზოგადოება ინფორმირებული ბჟანიას განკარგულების აღსრულების შედეგების თაობაზე.

„აქცენტი“

სწრაფი ტესტები დაავადება-გადატანილების გამოსავლენად

საქართველო სწრაფ ტესტებს არა კოვიდ-19-ით დაავადებულების, არამედ დაავადებაგადატანილების გამოსავლენად იყენებს. ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ ტვ „კავკასიის“ თოქ-შოუ „ბარიერის“ ეთერში განაცხადა.

მისივე თქმით, ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც 1000 ჯანმრთელ ადამიანს მოიცავდა, ვირუსი გადატანილი აღმოაჩნდა 6-დან 10 პროცენტამდე ადამიანს, რაც არ არის ძალიან მაღალი მაჩვენებელი და ნიუ-იორკის მონაცემებს საგრძნობლად ჩამორჩება.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ ნიუ-იორკში უფრო მეტი დაავადებული იყო და, შესაბამისად, მათ ვირუსი უფრო მეტ პირს გადასდეს. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე გადაანგარიშებით, 6-იდან 10 პროცენტამდე — 222-370 ათას ადამიანს უდრის, რაც კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების ლაბორატორიულად დადასტურებულ რაოდენობას 500-ჯერ აღემატება. თენგიზ ცერცვაძის თქმით, კვლევა დამუშავების ეტაპზეა და ზუსტი რიცხვები ჯერ დადგენილი არ არის.

ორმხრივი ტურისტული კავშირების აღსადგენად

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ჩეხეთის ვიცე-პრემიერთან, მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის მინისტრთან კარელ ჰავლიჩეკთან ონლაინ შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება პირდაპირი ავიამიმოსვლისა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის აღდგენის საკითხებზე გამახვილდა. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები აკაკი საღირაშვილი და გენადი არველაძე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი და ჩეხეთში საქართველოს ელჩი მარიამ რაქვიაშვილი.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩემმა ჩეხმა კოლეგამ აღგვითქვა პოლიტიკური მხარდაჭერა და მზადყოფნა, რომ მხარი დაუჭიროს როგორც ორმხრივი ტურისტული კავშირების ძალიან სწრაფ აღდგენას, ასევე საინვესტიციო პროცესების აქტივიზაციას“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ონლაინ შეხვედრის დასრულების შემდეგ. მისი თქმით, ჩეხეთის რესპუბლიკა საქართველოს აქტიური ეკონომიკური პარტნიორია და ყოველწლიურად იზრდება ჩეხური კომპანიების რაოდენობა, რომლებიც საქართველოს ენერგეტიკაში, სატრანსპორტო, ფარმაცევტიკისა და წარმოების სექტორებში საქმიანობენ.

პირბადეების მწარმოებელი - შპს „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი“ გაიხსნა



ძართულ ბაზარზე, თიბისის მხარდაჭერით, უმაღლესი ხარისხის პირბადეების მწარმოებელი — შპს „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი“ იწყებს ფუნქციონირებას. პროექტის ჯამური ღირებულება 1.8 მილიონი დოლარია.

საწარმო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნიკური გადამზადების ცენტრის ტერიტორიაზე განლაგდა. საწარმოში 20 ადამიანია დასაქმებული, თუმცა, უახლოეს მომავალში ეს რიცხვი 50-მდე გაიზრდება. აქ ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები დასაქმდებიან. „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსი“ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დანადგარებით აღჭურვილ 2 საწარმოო ხაზს მოიცავს. პირბადეების ე.წ Melt Blown უმაღლესი ხარისხის ნედლეულით იწარმოება და 99%-იან დაცვას უზრუნველყოფს.

საწარმოში პირველი პროდუქციის წარმოება იწყება სახელწოდებით — „Faceguard“, რომელიც პირველ ეტაპზე მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისთვისაა განკუთვნილი. „ნიუ ტექნოლოჯი იმპექსის“ წარმადობა სრული დატვირთვისას თვეში 12 მილიონ პირბადეს შეადგენს.

უმცირეს ხელფასად საშუალოდ 854.1 ლარს ასახელებენ...

საქართველოს მოქალაქეები გონივრულ მინიმალურ ხელფასად საშუალოდ 854.1 ლარს ასახელებენ, რაც ოთხჯერ აღემატება დღევანდელ საარსებო მინიმუმს და ასევე მხარს უჭერენ მინიმალური ხელფასის იდეას, — ამის შესახებ ინფორმაციას fes-caucasus ავრცელებს. ეს შედეგი აჩვენა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC Georgia) და ფრიდრიხ ებერტის ფონდის (Friedrich-Ebert-Stiftung) მიერ განხორციელებულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევამ, რომლის პრეზენტაციაც დღეს თბილისში იმართება.

რესპონდენტებს ჰკითხეს აგრეთვე, თუ რა რაოდენობის ხელფასს ელიან ისინი შესაბამისი დასაქმების სფეროებში. „ქართველები საშუალოდ 1200-დან 1400 ლარამდე დაურიცხავ ხელფასს სამართლიანად მიიჩნევენ“, — აღნიშნა ფელიქს ჰეტმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის დირექტორმა.

„ეს არის გაცილებით მეტი ანაზღაურება, ვიდრე, მაგალითად, მომსახურების სფეროში უხდიან დასაქმებულებს. ზედმეტად დაბალი ანაზღაურების შეთავაზება შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ბევრი დამსაქმებელი კორონავირუსისგან გამოწვეულ კრიზისამდე ჩიოდა, რომ პერსონალის მოძიება უჭირთ“, — დასძინა ჰეტმა.

„გამოკითხულთა 75% მხარს უჭერს საქართველოში მინიმალური ხელფასის არსებობას“, — აღნიშნა დავით სიჭინავამ, „CRRC-საქართველოს“ კვლევების დირექტორმა, რომელმაც კვლევა აპრილის დასაწყისში ჩაატარა. მისივე თქმით, მხოლოდ 12% ეწინააღმდეგება მინიმალური ხელფასის იდეას, ხოლო დანარჩენ 12%-ს არ აქვს ჩამოყალიბებული აზრი. კვლევა 2-7 აპრილის ჩათვლით ჩატარდა და 1 351 ინტერვიუს მოიცავს.

ბუბინ...

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 30 წლისაა. 1990 წლის 27 მაისს ეროვნულმა გუნდმა თავის ისტორიაში პირველი მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო-არენაზე“ ლიტვის ნაკრებთან ჩაატარა.

ეს იყო ამხანაგური თამაში, რომელიც ამხანაგურადვე დასრულდა — 2:2. საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან გოლები გია გურულმა და კახა კაჭარავამ გაიტანეს.

მას შემდეგ საქართველოს ნაკრებმა 235 შეხვედრა გამართა, რომელთაგან 71 მოიგო, 49 ფრედ ითამაშა და 115 წააგო.

საქართველო - ლიტვა 2:2

27.05.1990. ამხანაგური მატჩი. თბილისი, ეროვნული სტადიონი. 65 000 მაყურებელი.

გოლები: 0:1 არმინას ნარბეკოვასი (12), 1:1 გია გურული (62, პენ), 1:2 ვირგილიუს ბალტუშნიკასი (66), 2:2 კახი კაჭარავა (81).

საქართველო: ასლან ბალაძე, გელა კეტაშვილი (კაპ), კახი ცხადაძე (71. კახი კაჭარავა), დიმიტრი კუდინოვი, გია ფირცხალავა, გიორგი ნადირაძე, თემურ ქეცბაია, ზაზა რევიშვილი (46. როსტომ თორღაშვილი), ოთარ კორღალიძე (46. მელორ ბიგვავა), გია გურული, მამუკა ფანცულაია (46. გოჩა გოგრიჭიანი).

მწვრთნელი: გივი ნოდია.

ლიტვა: ვალდემარას მარტინკენასი (86. არვიდას კონციავიჩუსი), ვლადიმირას ბუზმაკოვასი, რუტის ნარუშევიჩიუსი, რომას მაჟეიკისი, არვიდას იანონისი (კაპ) (17. ვირგილიუს ბალტუშნიკასი), რობერტას ტაუტკუსი, რომას ჩირბა, ვალდას ივანაუსკასი, რობერტას ფრიდრიკასი, ვიაჩესლავ სუკრისტოვი, არმინას ნარბეკოვასი.

მწვრთნელი: ბენიამინას ზელკიავიჩუსი.

მსაჯები: მევლუდ მიმინოშვილი; ჯემალ წერეთელი, ავთანდილ კოკაია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფას და უეფას წევრი 1992 წელს გახდა და შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება მიიღო. „ჯვაროსანთა“ პირველი ოფიციალური ტურნირი ევრო 1996-ის შესარჩევი ციკლი იყო, სადაც გუნდმა გერმანიისა და ბულგარეთის შემდეგ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრებმა საუკეთესო შედეგი 2018 წელს, ერთა ლიგის „დ“ დივიზიონში აჩვენა, როდესაც ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება პირველად მიიღო.

ამჟამად „ჯვაროსნებს“ ევროპის ჩემპიონატამდე ორი მატჩი აშორებთ — ერთა ლიგის ნახევარფინალი ბელარუსთან, რომელიც 26 მარტს თბილისში უნდა გამართულიყო, გაურკვეველი ვადითაა გადატანილი. გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიისა და კოსოვოს ნაკრებების წყვილში უძლიერესს ასევე შინ, ფინალში შეხვდება.

...ხვალ

35 წლის წინათ, 1985 წლის 29 მაისს ბრიუსელში, „ეიზელის“ სტადიონზე 39 ადამიანი დაიღუპა. ბელგიის დედაქალაქი ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალს მასპინძლობდა, სადაც წინა გათამაშების გამარჯვებული — „ლივერპული“ და ტურინის „იუვენტუსი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე „ლივერპულის“ გულშემატკივართა ნაწილი — ნეიტრალური Z სექტორისაკენ გაიქცა, სადაც შავ-თეთრ ფორმებში გამოწყობილი „იუვენტუსის“ ქომაგები შენიშნეს. არეულობამ ჭყლეტა გამოიწვია, რასაც სექტორის კედლის ჩამონგრევა მოჰყვა და 39 გარდაცვლილიდან უმეტესობა ამ მომენტში დაიღუპა.

ფინალამდე რამდენიმე კვირით ადრე ორივე კლუბის წარმომადგენლებმა უეფას სტადიონის შეცვლის მოთხოვნით მიმართეს, რადგან „ეიზელზე“ არსებული ინფრასტრუქტურა კრიტიკას ვერ უძლებდა. ალტერნატივად მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუ“ და ბარსელონის „კამპ ნოუ“ განიხილებოდა, თუმცა, უეფამ გუნდების თხოვნა არ გაითვალისწინა და ფინალი მაინც „ეიზელზე“ ჩაატარა.

„ლივერპული“ წინა გათამაშების ფინალში „რომას“ შეხვდა და იტალიის დედაქალაქის გუნდი მისსავე მოედანზე დაამარცხა. მატჩის შემდეგ აპენინებზე უამარავი ინციდენტი მოხდა და მერსისაიდელთა იტალიელებთან დაპირისპირებაც აქედან დაიწყო.

მომდევნო წელს, 1985 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში „ლივერპულს“ 1984 წლის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული „იუვენტუსი“ შეხვდა, რომელმაც „წითლები“ 1984 წლის სუპერთასზე 2:0 დაამარცხა. „ლივერპული“ იმ პერიოდში 4 ჩემპიონთა თასის მომგები და წამყვანი დომინანტი ძალა იყო ევროპაში, მაგრამ „იუვენტუსს“ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მიშელ პლატინი და 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონ იტალიის ნაკრების ბევრი ფეხბურთელი ჰყავდა.

ამ ორი გუნდის დაპირისპირება დიდ ინტერესს იწვევდა. სექტორი Z, სადაც ტრაგედია დატრიალდა, „ლივერპულის“ ფანების სექტორების გვერდით იყო და ნეიტრალურ ქომაგთათვის გახლდათ გამოყოფილი, მაგრამ ბილეთების უმეტესობა ბელგიაში მყოფმა იტალური დიასპორის წარმომადგენლებმა შეიძინეს. ეს მოსალოდნელი გარემოება ადგილობრივმა პოლიციამ და ოფიციალურმა პირებმა ვერ გაითვალისწინეს.

მატჩის დაწყებამდე გუნდების კაპიტნები გულშემატკივრებთან მივიდნენ და სიმშვიდისკენ მოუწოდეს. უეფამ, ტრაგედიის მიუხედავად, ფინალი მაინც ჩაატარა, რომელიც „იუვენტუსმა“ მიშელ პლატინის მიერ 58-ე წუთზე გატანილი გამოგონილი პენალტით მოიგო...

ამ ეპიზოდში ბონეკი საჯარიმოს ხაზს მიღმა წააქციეს, მაგრამ რუმინელმა მსაჯმა ანდრე დაინამ ინგლისელები გაწირა.

„ეიზელის“ ტრაგედიის შემდეგ მარგარეტ ტეტჩერმა ფეხბურთის ასოციაციას ინგლისური კლუბების ევროთასებიდან გამოთხოვა დაავალა, თუმცა, რამდენიმე დღეში უეფას ბრძანებით ყველა ინგლისურ კლუბს 5 წლით ევროთასებზე ასპარეზობა აეკრძალა, ხოლო „ლივერპულს“ — 6 წლით.

39 გარდაცვლილიდან 32 იტალიელი გახლდათ, 5 — ბელგიელი, 1 — ფრანგი და 1 — ჩრდილოეთირლანდიელი. ბელგიის პოლიციამ „ეიზელზე“ ჩადენილი დანაშაულის გამო ბრიტანეთიდან 26 დამნაშავის გადაცემა მოითხოვა.

ექსტრადიცია 1988 წელს განხორციელდა და რამდენიმე პირი, მათ შორის ბელგიის მოქალაქეები და ოფიციალური პირები სასამართლომ პასუხისგებაში მისცა.

„იუვენტუსი“: ტაკონი, ფავერო, კაბრინი, ბონინი, ბრიო, შირეა (კაპიტანი), ბრიაში (პრანდელი), ტარდელი, როსი (ვინიოლა), პლატინი, ბონეკი.

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი.

„ლივერპული“: გრობელაარი, ნილი (კაპიტანი), ბეგლინი, ლოურენსონი (გილესპი), ნიკოლი, ჰანსენი, დალგლიში, უილანი, რაში, უოლში (ჯონსონი), უარკი.

მწვრთნელი: ჯო ფეგანი.

ვფიქრობთ, გულშემატკივრებს დაინტერესებთ მეტოქეთა მიერ ფინალამდე განვლილი გზა.

„იუვენტუსი“ — „ტამპერე“ — 4:0, 2:1, „იუვენტუსი“ — „გრასჰოპერსი“ — 2:0, 4:2, „იუვენტუსი“ — „სპარტა“ — 3:0, 0:1, „იუვენტუსი“ — „ბორდო“ — 3:0, 0:2.

„ლივერპული“ — „ლეხი“ 1:0, 4:0, „ლივერპული“ — „ბენფიკა“ — 3:1, 0:1, „ლივერპული“ — „აუსტრია“ — 1:1, 4:1, „ლივერპული“ — „პანათინაიკოსი“ — 4:0, 1:0.



◎ სოფლების ისტორიისათვის

დიდი საქმის მოთავეთა ნაკვალევით

საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელმა სამეცნიერო ცენტრმა გამოსცა სამეცნიერო შრომათა კრებული — „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისთვის“ (ტომი I), რომელიც საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის სულისჩამდგმელსა და დამფუძნებელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ეძღვნება.

ერთი წლის წინათ ვწერდით, რომ 1981 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრასთან აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ინიციატივით დაარსდა საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია (სამწუხაროდ, საუნივერსიტეტო „რეფორმამ“ შეიწირა), რომელმაც არსებობის 20 წლის განმავლობაში გამოსცა ნაშრომების 5 ტომი.



ჩვენ მიერ მომზადებული სამეცნიერო კრებული გაგრძელებაა იმ დიდი საქმისა, რომელსაც თავის დროზე მოთავეობდნენ თბილისის „ალმა მატერის“ საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორები.

კრებულს წამძღვარებული აქვს უაღრესად მრავლისმთქმელი ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის 2019 წლის 8 დეკემბრის საკვირაო ქადაგებიდან: „მე სნოდან ვარ, ყაზბეგის რაიონიდან, და მახსოვს ჩემს ბავშვობაში როგორ უფრთხილდებოდნენ მიწის ნაკვეთს, არ იყო მოცდენილი არც ერთი მტკაველი მიწისა, ითესებოდა კარტოფილი, მწვანილი, ითიბებოდა სათიბები... დღეს კი, როცა უკეთესი პირობები დაგვიდგა, აღარც საკარმიდამო მიწები მუშავდება და აღარც სათიბები ითიბება. მინდა, ვთხოვო ჩვენს სამღვდელოებას, მაგალითი მისცეს მოსახლეობას მიწაზე შრომისა. დაამუშავეთ საკარმიდამო მიწები, გააძლიერეთ სოფელი და სოფელი გადაარჩენს ჩვენს ხალხს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, მივხედოთ სოფლის მეურნეობას, არა მხოლოდ მიწათმოქმედებას, არამედ მესაქონლეობასაც, მეცხვარეობასაც, მეღორეობასაც და მეფრინველეობასაც. იყოლიეთ პირუტყვი, საქონელი, ცხვარი... ეს დიდად წამოსწევს სოფელს ეკონომიკურად და, პირიქით, იგი დაეხმარება ქალაქს. იმედი მაქვს, რომ მთელი საქართველო შეისმენს ამას და მთელი საქართველო ამუშავდება. ნაწილი მოსახლეობისა, როგორც სოფლის, ასევე ქალაქისა, საზღვარგარეთ მიდის და იქ მოხუცებს ემსახურება. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ თქვენს მამულს, თქვენს მიწას უნდა მიხედოთ. ხელიდან გვეცლება მიწა-წყალი... ღმერთმა ინებოს, რომ გამოსწორდეს ეს მდგომაროება“...

ბოლო დროს სოფელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღირებულება რომ შეიძინა, ამაზე მეტყველებს ბერი პაისის რჩევა-დარიგებაც. როცა მას ჰკითხეს, როგორ მოვიქცეთ უკანასკნელი ჟამისასო, ასე უპასუხა: „წადით მთაში, სოფელში, გქონდეთ პატარა ბოსტანი, გყავდეთ ძროხა, თხები, ქათმები, სოფლის მეურნეობა გქონდეთ და მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს... მალე დაედება ფასი სოფელს, მგონი, დროცაა ნელ-ნელა მოვემზადოთ ამისთვის. ნუ მიატოვებთ და უპატრონობით ნუ დაანგრევთ მამაპაპეულ კერას. ალბათ, იმაზე მალე გამოგადგებათ, ვიდრე გგონიათ“.

დიახ, დადგა ის დრო, დავუბრუნდეთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს მამულ-დედულს, ჩვენი ყრმობის ფესვებს — სოფელს. მოვუაროთ და ვუპატრონოთ იავარქმნილ და განადგურებულ წარსულს, რომელიც ხავსითა და ეკალ-ბარდითაა სავსე.

დღეს დიდი განსაცდელი უდგას კაცობრიობას. მთავარია არა ახალი კორონავირუსი კოვიდ-19, არამედ ის ვირუსი, რომელსაც ჰქვია ურწმუნოება, უსიყვარულობა, უიმედობა, ღალატი, შური, გაუტანლობა, გაუნათლებლობა... თუ ყველა ეს სენი დავძლიეთ, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ სხვა ყველანაირ დაავადებაზე, ცხადია უფლის წყალობით, სიყვარულით, რწმენითა და ერთგულებით...

აქვე მინდა, გითხრათ, რომ კრებულის რეცენზენტია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **დავით მუსხელიშვილი;** ტომის რედაქტორი გახლავთ მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მურად მთვარელიძე**.

კრებულის I ტომში შესულია ლია ახალაძის, იოსებ ალიმბარაშვილის, იგორ კეკელიას, ვალერი კეკენაძის, თამაზ ლაცაბიძის, ნიკოლოზ ოთინაშვილის, გიორგი სოსიაშვილის, ბეჟან ხორავას და დავით სიჭინავას ნაშრომები. ავტორები საქართველოს წამყვან სასწავლო, სამეცნიერო და სამუზეუმო დაწესებულებებში მოღვაწეობენ.

სამეცნიერო შრომათა კრებულის მომზადებაში მონაწილეობდნენ კახაბერ რუსიძე, თამარ სტეფნაძე, მაყვალა ხაჩიძე და ალექსანდრე რურუა. მისი გამოცემა ფინანსურად უზრუნველყო სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა მამულიშვილმა **გიორგი ნადარაიამ**. სამეცნიერო კრებული დაკაბადონდა და დაისტამბა გამომცემლობა „მერიდიანში“ (ხელმძღვანელი კახაბერ რუსიძე).

დაბოლოს, საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი და სამეცნიერო შრომათა კრებულის („მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“) რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს ისტორიკოსებს, გეოგრაფებს, ეთნოლოგებს, ეთნოგრაფებს, ფილოლოგებს და აგრონომებს... როგორც გამოცდილ, ისე დამწყებ მეცნიერებს (დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს), რომელნიც მუშაობენ ან სურთ იმუშაონ სოფლების, ნასოფლარებისა და გვარების ისტორიების, ტოპონიმიკისა და მიკროტოპონიმიკის, სოფლის მეურნეობის, აგრარულ მეცნიერებათა, ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების და შიდამიგრაციის აქტუალურ პრობლემებზე. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ სოფელში გლეხკაცის დაბრუნებას და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისათვის სოფლის მეურნეობის დარგთა აღორძინებას.

მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი,
საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, სამეცნიერო შრომათა კრებულის მთავარი რედაქტორი. თაბორის მამათა მონასტერი.

ათდღიანი გლოვა ესპანეთში

ესპანეთის მთავრობამ 27 000-ზე მეტი ადამიანის კორონავირუსით გარდაცვალების გამო ქვეყანაში ათდღიანი გლოვა გამოაცხადა.

ქვეყანაში 14 000-ზე მეტ სახელმწიფო შენობაზე და ასევე, გემებზე დროშებს დაუშვებენ. გლოვა ქვეყანაში 5 ივნისამდე გაგრძელდება. გლოვის დღეები 5 ივნისს დასრულდება ღონისძიებით, რომელზეც ვირუსით დაღუპულ ადამიანებს მოიგონებენ.

ესპანეთში „კოვიდ-19“-ის გავრცელებიდან დღემდე ვირუსით 235 400 ადამიანი დაინფიცირდა. გარდაიცვალა 27 117.

სანთელი

ეკა გიორბელიძე, სვეტლანა აბშილავა, შალვა მგალობლიშვილი, იური ჭოლოკავა, ავთო პატარაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოხუმელი მეგობარი, უღალატო კაცი

ნუკრი ხაბურძანია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

ამაღლება უფლისა

28 მაისს წმიდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იესო ქრისტეს ამაღლებას დღესასწაულობს.

...და აი, დადგა ეს დღეც! იესო ქრისტეს აღდგომიდან მეორმოცე დღეს შეიკრიბნენ მაცხოვრის მოწაფეები და გამოეცხადათ მათ უფალი.

ნიშანდობლივია ის, რომ მოწაფეებს დაწვრილებით არ აქვთ გადმოცემული იესოს ბოლო საუბარი, მაგრამ მახარებელი ლუკა მოგვითხრობს, თუ რას შეეხებოდა იგი. უფალმა ერთხელ კიდევ ბრძანა, რომ აუცილებელი იყო ჯვარზე ვნება მესიისა, რადგან „ასე იყო დაწერილი“, რომ იესო ქრისტე მესამე დღეს მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო.

ვიდრე საქადაგებლად წავიდოდნენ, მოციქულებს უნდა მიეღოთ სულიწმიდის მადლმოსილი ნიჭი.

...უფალმა იესო ქრისტემ გამოიყვანა თავისი მოწაფეები იერუსალიმიდან და გაემართა ბეთანიისკენ. მოციქულებმა ჰკითხეს მას: „...უფალო, უკუეთუ ამათ ჟამთა კვალად მოაგო სასუფეველი ისრაელსა?“ უფალმა მდაბლად მოისმინა მათი შეკითხვა და სიყვარულით უპასუხა: „არა თქვენი არს ცნობაი ჟამთა და წელიწადთა, რომელნი იგი მამამან დასხნა თვისითა ხელმწიფითა“.

ამ საუბარში მიაღწიეს ელეონის მთას. იესომ აკურთხა მოწაფენი და მათ წინაშე ზეცად ამაღლდა.

გაოგნებულ მოწაფეებს უფლის ორი ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა მათ: „ესე იესო, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“.

ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ თაყვანი სცეს ზეცად ამაღლებულ უფალს და „სიხარულითა დიდითა“ დაბრუნდნენ იერუსალიმში.

გიული ლიპარტია

„იუნესკო“ მოცარტზე და ელისო ბოლქვაძის ვიდეოლექციის შესახებ წერს

ცნობილი პიანისტის და „იუნესკოს“ მშვიდობის ელჩის ელისო ბოლქვაძის ინიციატივამ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მხრიდან განსაკუთრებული მოწონება და აღიარება დაიმსახურა.

ელისო ბოლქვაძემ თავისი წვლილი შეიტანა გლობალური განათლების კოალიციის ფარგლებში, რომელიც კორონავირუსით გამოწვეული საგანმანათლებლო დაძლევას და ადაპტაციას ეძღვნება. პანდემიის შედეგად სკოლების დახურვის გამო მსოფლიოს გარშემო 1,2 მილიარდი მოსწავლე განათლების გარეშე დარჩა. **„განათლება არასდროს წყდება“ — ამ სლოგანით ელისო ბოლქვაძე ჩაერთო „ტელესკოლის“ პროგრამაში, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა. მუსიკოსმა ქართველი ახალგაზრდებისთვის სპეციალურად ჩაწერა საგანმანათლებლო ვიდეოლექცია გენიალურ კომპოზიტორ ვოლფგანგ ამადეუს მოცარტზე და მისი შემოქმედების მნიშვნელობაზე.**

ჟურნალისტთა დიდი მეგობარი

თქვენ ქვეყნის მშენებელი კაცი ხართ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ წინა ნომერში „არქეოპოლისის“ თანამშრომლებმა და ქართული ინტელიგენციის ელიტამ დაბადებიდან 80 წელი მიულოცეს თავისი სიჩუმით, მოკრძალებით, კონკრეტული საქმით, ოჯახიშვილობით, ქველმოქმედებით გამორჩეულ პიროვნებას **დემურ გადელიას.**

საიუბილეო თარიღი მას გუშინ შეუსრულდა.

მრავალ სიკეთეთა დარად, დემურ გადელიას ქართული სიტყვიერების, ქართული ჟურნალისტიკის დიდი გულშემატკივარი და ქომაგია. მოუცლელობის მიუხედავად, დანამდვილებით ვიცით, რომ ის „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველ ნომერს კითხულობს და როგორც გაზეთის მზრუნველთა საბჭოს აქტიური წევრი, ხუთ წელიწადზე მეტია, საკუთარი კოლექტივის წევრებს იქ, სენაკში, ყველაზე ჯანსაღი, სანდო ინფორმაციით ამარაგებს — გამოწერილი აქვს ამ 102 წლის უბერებელი გაზეთის 50 ეგზემპლარი!

გულწრფელი მადლობა, ბატონო დემურ! ხელისუფლება და ადმინისტრაციული ორგანოები გაზეთებს არც იწერენ, არც კითხულობენ, არც გაზეთის კრიტიკულ გამოსვლებზე არ რეაგირებენ... ეტყობა, იდიოტი სააკაშვილის და ქართველი ხალხის მოღალატე ნაცობოზიციის „ეშინიათ“, რომლებმაც 2007 წლის აგვისტოში ჩვენი აშენებული ჟურნალ-გაზეთების საგამომცემლო კომპლექს „სამშობლოდან“ გამოგვყარა და ყველა გააფრთხილა — „გაზეთები არ გამოიწეროთო“!...

მსგავსი უყურადღებობის ფაქტს მსოფლიოს ვერცერთ ქვეყანაში ვერ იპოვით! ჟურნალ-გაზეთებს ყველგან განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ და ფინანსურადაც ეხმარებიან!

ჩვენი ყოფნა-არყოფნის ბედი კი მხოლოდ თქვენნაირ გონიერ და წიგნიერ მკითხველზეა დამოკიდებული, ბატონო დემურ!

იცოცხლეთ დიდხანს! ტრადიციულად მხოლოდ ქართული საქმე აკეთეთ და თქვენს საფიცარ შვილიშვილებს, თქვენს უმცროს მეგობრებს, მომავლის საქართველოს ჭეშმარიტი მამულიშვილობის მაგალითი გვიჩვენეთ! თქვენ ქვეყნის მშენებელი კაცი ხართ! ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გადაგირჩინოთ უფალმა, „არქეოპოლისის“ ისტორია და დღევანდელობა თქვენი ცოცხალი ძეგლია! საქმემან თქვენმან წარმოგაჩინათ თქვენ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქციის სახელით —
სპარტაკ ქობულია

დემურ იულონის ძე გადელია იუბილარია

27 მაისი დემურის დაბადების დღე იყო. ღირსეული კაცი, უტყუარი პიროვნება, ყველა სიკეთის მატარებელი, კაცთმოყვარე. აი, ეს თვისებებია გამორჩეული მის ცხოვრებაში. ჩემს საყვარელ მეგობარს ვუსურვებ ჯანმრთელობას, მხნეობას თავის საყვარელ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

სიყვარულით
თენგიზ ქავთარაძე

LONELY PLANET:

მთები, ლაშქრობა და ღვინო

საქართველო ივლისში საერთაშორისო ტურიზმის გახსნას გეგმავს

პოპულარული გამოცემა Lonely Planet საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის აღდგენას სტატიას უძღვნის. სტატიაში აღნიშნულია, რომ ქვეყანა საერთაშორისო ტურისტებს 1 ივლისიდან მიიღებს, ავიაკომპანიები Ryanair lf Wizz Air კი ფრენებს განაახლებენ რეგიონის გარკვეულ ქვეყნებში, მათ შორის ბალტიისპირეთის, უნგრეთის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების მიმართულებით, რაზეც ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

გამოცემა საქართველოში მომუშავე ტურისტულ კომპანიებს გაესაუბრა და მათი მოსაზრებებიც მოისმინა.

„ქვეყნის საზღვრების გახსნისკენ გადადგმულ ნაბიჯს მიესალმნენ ადგილობრივი ტურისტული კომპანიები, რომლებიც მომსწრე გახდნენ, როგორ დაეცა ჯავშნების რაოდენობა ერთ ღამეში. გრიგოლ ფაღავა, Budget Georgia-ს მეპატრონე ამბობს, რომ „ჩვენ ექსპონენციალურ წარმატებას მივაღწიეთ 2020 წლის მარტის დასაწყისში. აქამდე ამდენი დაჯავშნა არასდროს გვქონია წელიწადის ამ დროს, მაგრამ 17 მარტიდან ყველაფერი შეიცვალა. მოთხოვნა ახალ ჯავშნებზე შეწყდა ორი დღის განმავლობაში. ეს მოხდა ძალიან სწრაფად, 100-დან 0-მდე“, — განაცხადა გრიგოლ ფაღავამ“, — წერს გამოცემა. Lonely Planet-ი საქართველოს კორონავირუსთან ბრძოლის სტრატეგიაზეც წერს და აღნიშნავს, რომ ქვეყნის სწრაფმა ჩაკეტვამ დიდწილად განაპირობა შედარებით დადებითი სტატისტიკა, შემდეგ კი ეკონომიკის მინისტრს ნათია თურნავას გაესაუბრა.

„ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა იმედოვნებს, რომ დაასახელებს საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყანას კოვიდ-19-თან დაკავშირებით ქვეყნის აშკარა წარმატების საფუძველზე. „მანამდე მსოფლიო იცნობდა საქართველოს, როგორც მასპინძლობის უძველესი ტრადიციის მქონე ქვეყანას, ახლა კი გაიცნობენ, როგორც უსაფრთხო ტურისტული დანიშნულების ადგილს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ახალი კონკურენტული უპირატესობა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ შეიძინა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში“, — აღნიშნა ნათია თურნავამ.

„ზაფხულში საქართველოს მთები ლაშქრობის მთავარ მიმართულებად მიიჩნევა, მაგრამ შორი რეგიონები, როგორიცაა სვანეთი და თუშეთი, ტურისტული კერების გაფართოების პროცესს წლის განმავლობაში დიდხანს არიან მოწყვეტილი ექსტრემალური სიმაღლისა და ძლიერი თოვლის ქარიშხლების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შესაძლოა ზაფხულში იზოლირებული დასვენებისთვის იდეალური ადგილები იყოს, ტურიზმის ინდუსტრიის განახლებისთვის უნდა დაზუსტდეს, რომ სოფლის თემები და ტურიზმის სექტორში მომუშავე პირები დაცული იქნებიან კოვიდ-19-ის შემდგომი გავრცელებისგან“, — აღნიშნავს გამოცემა.

კომიქსი სვანურ ლეგენდაზე

ქართულმა **სააგენტო ABK-v Georgia Guide Office-ის საკომუნიკაციო კამპანიისთვის ბეთქილისა და დალის სვანურ ლეგენდაზე კომიქსი შექმნა.** კომიქსი ქართულ და ინგლისურ ენებზე შეიქმნა და გავრცელდება როგორც სოციალური ქსელების საშუალებით, ასევე ბეჭდური სახით.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1916; ევრო - 3.4801;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8890;
100 რუბლი - 4.4615; თურქული ლირა - 0.4687;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8725;
1000 სომხური დრამი - 6.6219.

ამინდი 28 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge